CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

**„სიცრუე და ორპირობა ავნებს“... პასუხი დეპუტატ ეკა ბესელიას**

N58/2988/ 17 აპრილი 2014 წ ფასი 60 თ
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

**საქართველოში მკითხავთა „მაფია“ მოქმედებს?**



**ინგა პავლოვა: „ივანიშვილი ერთი ქუჩის არსებაა და საქართველოსაც ისე იყენებს, როგორც მე გამომიყენა“**



**კახა ბენდუქიძე თამბაქოს ბიზნესის სკანდალში გაეხვია**



**ლუკა კურტანიძე დაქორწინდა**



# პოლიტიკური კრიზისი უმართავი ხდება



## ოპერატიულად მისაღები კანონი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად

## რომელ უბნებში და რა ტიპის სახლების გამაგრება იწყება თბილისში?



საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

DHL

## თუ პარლამენტმა ეს კანონი დაამტკიცა, უცხოეთიდან გამოგზავნილი ამანათების მიღება გაძვირდება

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ეროვნული გამოცდების განრიგი ცნობილია

ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრმა 2014 წლის აბიტურიენტებისთვის გამოცდების ჩატარების განრიგი გამოაქვეყნა.

აბიტურიენტთათვის პირველი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში 26-27 ივნისს, დილის 8.00 საათზე დაიწყება, ხოლო მეორე სესია 14:00 სთ-ზე.

მეორე გამოცდა ზოგად უნარებში 30 ივნისსა და 1-ელ ივლისს არის დაგეგმილი (პირველი სესია 8:00 სთ. მეორე სესია 14:00 სთ.), დანარჩენ დისციპლინაში კი გამოცდების განრიგი ასე გადანაწილდა: უცხოური ენა: 2 ივლისი — ინგლისური ენა (მეორე სესია 15:00 სთ.); 3 ივლისი — ინგლისური ენა (პირველი სესია 8:00 სთ. მეორე სესია 14:00 სთ.); 4 ივლისი (მეორე სესია 15:00 სთ.) — რუსული ენა; 4 ივლისი (მეორე სესია 15:00 სთ.) — გერმანული ენა; 4 ივლისი (მეორე სესია 15:00 სთ.) — ფრანგული ენა; 8 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ.) — ლიტერატურა; 9 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ. მეორე სესია 14:00 სთ.) — გეოგრაფია; 10 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ. მეორე სესია 14:00 სთ.) — ისტორია; 11 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ. მეორე სესია 14:00 სთ.) — მათემატიკა; 14 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ.) — ქიმია; 14 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ.) — სტუდენტთა საგრანტო კონკურსი; 15 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ.) — ბიოლოგია; 16 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ.) — ფიზიკა; 16 ივლისი (პირველი სესია 8:00 სთ.) — სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. (კვირა)

## საწვავი გაძვირდა — გაძვირდება თუ არა მგზავრობა?



ნავთობიმპორტიორები ბენზინისა და დიზელის ფასის ზრდას საერთაშორისო ბაზარზე არსებულ გარემოებებს უკავშირებენ. სახელდება ეროვნული ვალუტის არასტაბილურობის ფაქტორიც.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საწვავზე ფასების ზრდა, სხვა ფაქტორებთან ერთად, უკრაინა-რუსეთს შორის არსებულ დაძაბულობასაც უკავშირდება.

როგორც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლები აცხადებენ, ბენზინი 3-5 თეთრით გაძვირდა, რასაც მგზავრობის ღირებულების ზრდა არ გამოუწვევია, თუმცა ფიქრობენ, რომ ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში მგზავრობის ღირებულება გაიზრდება. (ნიუპოსტი)

## ბიძინა ივანიშვილის საქართველოდან წასვლის შესახებ ჭორს „ნაციონალური მოძრაობა“ ავრცელებს



საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი წასვლას არსად არ აპირებს.

„ბატონი ბიძინა ივანიშვილი არსად არ აპირებს წასვლას. ის საქართველოდან არ წასულა მაშინ, როცა ყველაზე მეტად იყო სახიფათო – ვგულისხმობ იმ პერიოდს, როცა პოლიტიკაში შემოვიდა. აქედან გამომდინარე, საუბარი და სპეკულაცია იმის თაობაზე, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი აპირებს საქართველოს დატოვებას, მგონი, ძალიან გადაჭარბებული და დიდი სისულელეა. ამას ავრცელებენ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები. სხვათა შორის, გუშინ გავიგე, რომ 7 პროცენტამდე დაეცა მათი რეიტინგი“, – აღნიშნა ღარიბაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## შესაწყალებელ პატიმართა სიაში ნარკოდანაშაულის მქონე პირები სჭარბობენ



შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე ელისაშვილის განცხადებით, კომისიის წევრებმა რამდენიმე სამუშაო შეხვედრაზე და გაფართოებულ სხდომებზე 500-მდე პატიმრის საქმე განიხილეს.

100 მსჯავრდადებულზე დადებითი რეკომენდაცია გაიცა. მათ უმრავლესობას საპატიმროდან განთავისუფლების, ნაწილს კი სასჯელის შემცირების რეკომენდაცია მიეცა.

შესაწყალებელ პირთა სიაში არიან როგორც მამაკაცები, ასევე ქალები და არასრულწლოვნები.

როგორც კომისიის თავმჯდომარე განმარტავს, ახალი დებულების საფუძველზე შეწყალება პირველად ხორციელდება. მისივე თქმით, შეწყალება სხვადასხვა ტიპის დანაშაულის მქონე პირებს შეეხო, თუმცა მათ შორის ნარკოდანაშაული სჭარბობს.

შესაწყალებელ პირთა სია საქართველოს პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს ხელმოსაწერად დღეს გადაეგზავნება. პრეზიდენტი დოკუმენტს ხელს უახლოეს დღეებში მოაწერს.

ალექსანდრე ელისაშვილი ვარაუდობს, რომ შეწყალებული მსჯავრდადებულები საპატიმრო დაწესებულებებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე, 20 აპრილს დატოვებენ. (ინტერპრესნიუსი)

## პრემიერის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი მძიმე დანაშაულს არ შეეხება



თუ სასამართლო პროცესები დაწყებულია და საქმე მძიმე დანაშაულს ეხება, მორატორიუმი, რა თქმა უნდა, მასზე არ გავრცელდება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

პრემიერმა კომენტარი გააკეთა კითხვაზე, რამდენად შეეხებათ მორატორიუმი იმ პირებს, რომელთა საქმის განხილვა უკვე სასამართლოში მიმდინარეობს.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მორატორიუმთან დაკავშირებით ინიციატივას არასწორი ინტერპრეტაციები მოჰყვა.

„ეს არის ძალიან ნორმალური და ცივილიზებული ფორმა – ჩვენ გვსურს, მშვიდ გარემოში წარიმართოს საარჩევნო კამპანია; არავის მივცეთ საშუალება, სპეკულაციები მოახდინოს და თქვას, რომ არათანაბარ, არაკონკურენტუნარიან გარემოში მოუწიათ საარჩევნო კამპანიის წარმართვა. სწორედ ამ მიზნით, გამოვაცხადეთ მორატორიუმი და თუ გარდაუვალი აუცილებლობა არ იქნება, სამართალდამცავი ორგანოები თავს შეიკავებენ საარჩევნო კამპანიაში ჩართული ადამიანების დაკავებისგან. ცხადად ითქვა ყველაფერი და ამაზე დამატებითი კითხვები, მე მგონი, აღარ უნდა არსებობდეს. რაც შეეხება სასამართლოს, თუ პროცესები დაწყებულია და საქმე მძიმე დანაშაულს ეხება, მორატორიუმი მასზე, რა თქმა უნდა, არ გავრცელდება“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა და დასძინა: „საქართველოს სურს, მსოფლიოს დაუმტკიცოს, რომ ნორმალური და ძლიერი სახელმწიფოა“. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# პოლიტიკური კრიზისი უმართავი ხდება

## ოპერატიულად მისაღები კანონი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად

**„თეთრების“ ლიდერი, თემურ შაშიაშვილი აცხადებს, რომ პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი სწორი გზა ოპოზიციის თაობაზე კანონის ოპერატიულად მიღება და ამის შემდეგ უმოკლეს პერიოდში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაა.**

**რას გულისხმობს კონკრეტულად ოპოზიციის თაობაზე კანონის მიღებაში?**

**„ალია“ თემურ შაშიაშვილს დაუკავშირდა:**



**„ჩვენ უნდა ვქმნიდეთ ისეთ კანონს, როგორიც ამერიკელებმა შექმნეს კონსტიტუციის დროს. ყველაზე დიდი პიროვნებები, რომლებიც ქმნიდნენ ამ კონსტიტუციას, ამბობდნენ, კიდევ კარგი, ხელისუფლებაში მისვლამდე დავწერეთ ეს, თორემ მერე კანონს ჩვენზე მოვირგებდითო“**

**— ბატონო თემურ, რა კანონს გულისხმობთ, შეგიძლიათ დამიკონკრეტოთ?**

– ყველა ცივილიზებულ ქვეყანას, რომელიც დემოკრატიის გზით მიდის, აქვს კანონი ოპოზიციის შესახებ, ან მისი მსგავსი. ეს ნიშნავს იმას, რომ თამაშის წესები არის შეთანხმებული. ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ოპოზიციის კანონი მოქმედებს, რადგან ორგანულ კანონშია. ანუ აუცილებელი არაა, ეს კანონი იყოს ცალკე, რადგან ის ოპოზიციის შესახებ კანონია და შეიძლება, ორგანულშიც იყოს. საქართველოში ყველა, ვინც ოპოზიციაშია, აყენებს საკითხებს ხელისუფლების მიმართ, თვითონ მიდის მერე ხელისუფლებაში და ამას არ აკეთებს. ამიტომ ყველა გადატრიალება აქედან მოდის. ამ საკითხს დიდი ხანია ვლობირებ და ვეუბნები მათ, 16-იანების და 8-იანი გაერთიანებების დროს, ნუ ვსაუბრობთ მხოლოდ არჩევნებზე, შეიქმნას პარტიების ერთობა საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის. პარტიები უნდა ვერთიანდებოდეთ ასეთ რამეში და არა სხვადასხვა იდეოლოგიის პარტიები ერთად მივდიოდეთ არჩევნებში. საქართველოში ყველაფერი გადაბრუნებულად ხდება, რაშიც უნდა ვერთიანდებოდეთ პარტიები, იმაში არ ვერთიანდებით და ვერთიანდებით იქ, სადაც უნდა გვქონდეს განსხვავებული მიდგომები. ჩვენ უნდა ვერთიანდებოდეთ იმაში, რომ ვქმნიდეთ ისეთ კანონს, როგორიც ამერიკელებმა შექმნეს კონსტიტუციის დროს. ყველაზე დიდი პიროვნებები, რომლებიც ქმნიდნენ ამ კონსტიტუციას, ამბობდნენ, კიდევ კარგი, ხელისუფლებაში მისვლამდე დავწერეთ ეს, თორემ მერე კანონს ჩვენზე მოვირგებდითო. რატომ ირგებს ნებისმიერი ხელისუფლება თავის თავზე კანონს? იმიტომ რომ არ არსებობს კანონი ოპოზიციის შესახებ.

**— რა უნდა ეწეროს ამ კანონში, რა უფლებები და მოვალეობები უნდა გაიწეროს?**

– ჩაიწერება იქ, რომ ვერავინ შეძლოს, გაყალბდეს არჩევნები. თქვენ ხედავთ, რომ „8-იანი“ ვიდრე ოპოზიციაში იყო... ხომ მივიდა ხელისუფლებაში, აბსოლუტურად არაფერს აკეთებს იქიდან, რა მოთხოვნაც ხელისუფლებაში მოსვლამდე ჰქონდა. ამიტომ ჩვენ ყველა, ვინც ოპოზიცია ვართ, ვსხდებით და ვთანხმდებით, რომ ვინც არ უნდა გაიმარჯვოს ჩვენს შორის, ამ კანონს დავიცავთ და ვიქნებით სიტყვის პატრონები.

ალმოჩნდება ოდესლაც ოპოზიციაში.

იაპონიაში მხოლოდ სასამართლო წესით იცვლებიან რიგითი მუშაკები. აქ ვინც მოვიდა, ყველა ეუბნება ძველს, დაწერე განცხადება, წადიო და მერე მოჰყავს თავისი ხალხი. ეს უნდა დასრულდეს! რასაც მე ვთავაზობ, იცით, ამით რა მოხდება? კაცი, რომელიც მუშაობს მერიაში, იმას არ აინტერესებს, ვინ არის ქალაქის მერი. ის არის ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელი და ვინც უნდა ისინი იმაზე კი არ უნდა თანხმდებოდნენ, საარჩევნო კომისიაში ვის რამდენი უნდა ჰყავდეს, არამედ იმაზე, რომ ყველამ უზრუნველყოს თავისუფალი არჩევნების ჩატარება. როცა ხელისუფლებაში მიდის, ყველა თავისკენ ქაჩავს საბანს, მაგრამ, როცა ოპოზიციაში ხარ, მაშინ უნდა დავწეროთ, რომ შეთანხმება დაიდოს ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის და მივიღოთ ეს კანონი. ხომ მოვა დრო, რომ ეს ხელისუფლებაც

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სკოლამდელი აღსაზრდელებისთვის ბაგა-ბაღების შენობები არასაკმარისია



არასამთავრობო ორგანიზაცია „ყველა თაობა საქართველოსთვის“ თბილისის საბავშვო ბაღებში ჩატარებული ოპტიმიზაციის კანონიერებას ეჭვქვეშ აყენებს და ამ პროცესში გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით პროკურატურას მიმართავს.

„დიდი პრობლემა შეიქმნა სკოლამდელ აღსაზრდელთა დაწესებულებებში მას შემდეგ, რაც მოხდა ბაღის შენობების ფუნქციის შეცვლა და გაუქმება. 2007 წლამდე თბილისის მასშტაბით ფუნქციონირებდა 200-მდე საბავშვო ბაღი, დღევანდელი მონაცემებით, მათი რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. ქალაქ თბილისის ბრალდებულმა, ყოფილმა მერმა, გიგი უგულავამ ბაღის შენობებს შეუცვალა სამართლებრივი ფორმა და ისინი გაურკვეველი „სასადილოების“ ფუნქციით დატვირთა. გადაკეთებული შენობები კი დღემდე არ ფუნქციონირებს“, – ნათქვამია განცხადებაში.

„ყველა თაობა საქართველოსთვის“ მიიჩნევს, რომ სკოლამდელ აღსაზრდელებს პრობლემა დანაშაულებრივი ქმედებიდან გამოწვეულმა არასწორმა ოპტიმიზაციამ შეუქმნა.

„სკოლამდელი აღსაზრდელების ნაკადმა საგრძნობლად იმატა მას შემდეგ, რაც დღევანდელმა ხელისუფლებამ მათი დაფინანსება უზრუნველყო. ჯგუფებში, აღსაზრდელთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, რაც ავტომატურად უარყოფითად აისახება ბავშვის ჯანმრთელობასა და განათლებაზე, ვინაიდან ყოვლად დაუშვებელია ერთ ჯგუფში იყოს 40-45 ბავშვი. კვლევიდან გამომდინარე დადგინდა, რომ იმდროინდელმა მერიამ, ერთი დადგენილებით, ერთდროულად, მთელი ქალაქის მასშტაბით უკანონოდ გაათავისუფლა ბაგა-ბაღების დირექტორები და მათ ნაცვლად დაინიშნენ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები და თანამდებობის პირთა ნათესავები. ჩვენი ორგანიზაციის სახელით მივმართავთ და მოვუწოდებთ პროკურატურას, გამოიძიოს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით არსებული დარღვევები, ხოლო საბავშვო ბაღები დაუბრუნდეს ბავშვებს“, – აღნიშნულია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



მოვიდეს მერად, ვინც უნდა წავიდეს, ის აკეთებს თავის საქმეს. შემდეგი საკითხი, რომელსაც ჩვენ ვაყენებთ, არის შემდეგი – კონტროლის პალატის თავმჯდომარეს ნიშნავს ოპოზიცია. ანუ, ფულის მხარჯველს, რომელიც არის მინისტრი, მისი მოადგილეები და სხვები, ფულის მაკონტროლებლად ეყოლება ოპოზიცია. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა მუშტი და ყვირილი კი არ არის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა არის სისტემა, რომელიც ოპოზიციის შესახებ კანონშია ჩადებული.

ის, თუ რამდენად ფიქრობს ის ქვეყანაზე. საქართველოს პოლიტიკური პარტიების 99% ფიქრობს სკამზე. დღეს ქვეყანაში სკამის პოლიტიკოსები არიან, სახელმწიფო მოღვაწეს ვერ ნახავთ პოლიტიკაში, ამათ პოლიტიკა ბიზნესად აქციეს, იმიტომ რომ არ არსებობს კანონი, რომელიც არეგულირებს თითქოსდა მარტივ საკითხებს, რომლებსაც სინამდვილეში იმიტომ არ აწესრიგებენ, რომ სკამები მიიღონ.

**— თქვენ პირველი არ ხართ, ვინც ამბობს, რომ პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის ყველაზე ეფექტური გზა ვადამდელი არჩევნებია, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან ამის სურვილი არ ჩანს.**

– ვერ მოვიდა ხელისუფალი, რომელიც იტყვის, რომ ყველა პარტიას ერთნაირ სასტარტო მოედანს აძლევს. მოდის ბელადი და პარტიას ირჩევს. ეს გააკეთა გამსახურდიამ და ნახეთ, რაც დამართა თვის თავს, გააკეთა შევარდნაძემ და რა მოუტანა ქვეყანას, დავინახეთ, იგივე გააკეთა სააკაშვილმა და, სამწუხაროდ, იგივე გააკეთა ივანიშვილმა. ყველაზე დიდი საშუალება ბატონ ბიძინას ჰქონდა, რომ პოლიტიკოსებისთვის ეთქვა, გაიწიეთ, რადგან დაღუპეთ ეს ქვეყანა. კარგი იქნებოდა, რომ ეთქვა მარტო „რესპუბლიკელებს“ კი არა, ყველა პარტიას გაძლევთ ერთ მილიონს, არავის არ გაერთიანებთ, არავის არ გეუფროსებით და რაღაც პარტიების ლიდერი კი არა, მართლაც ეროვნული ლიდერი იქნებოდა. ნებისმიერ ოპოზიციურ პარტიასა და მათ შორის მეც წამართმევდა სათქმელს. საპრეზიდენტო არჩევნებ-ის წინ მილიონები დაურიგეს მთელ რიგ პოლიტიკურ პარტიებს, ორი პარტია, რომელმაც გადაწყვიტა, ხელი არ შეეშალა ივანიშვილისთვის „ნაცების“ დამარცხებაში, ვიყავით ჩვენ და ნინო ბურჯანაძე.

**— როგორც ვიცი, უცხოეთში იყავით. როგორია იქ მცხოვრები ქართველების პოზიცია და შეფასებები?**

– მე არც ერთი ქვეყნის პოლიტიკოსებთან არანაირი საქმე არ მაქვს. მე ევროპაში ვიყავი და არ შევწყვეტ სიარულს, სანამ არ მოვამზადებ დოკუმენტს „ემიგრანტთა განწყობა-გადაძახილი მომავლის საქართველოსთვის“. ეს არის ვეებერთელა დოკუმენტი, რომელშიც გვიწერია, რომ კონსტიტუციაში ცვლილება შევიდეს, რომლის მიხედვითაც ყოველი ქართველი და აფხაზი, სადაც არ უნდა დაიბადოს, საქართველოს მოქალაქედ ითვლებოდეს. მე ევროპაში, თურქეთში შევხვდი ქართველ ხალხს, რომლებთან ერთადაც შევქმენი ეს დოკუმენტი. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან საზღვარგარეთ მე ვხედავ ხალხს, რომელთაც საქართველოსთვის ოქროს ფონდის როლის შესრულება შეუძლიათ. მათ იციან ნამდვილი ევროპა, ნამდვილი რუსეთი, მათი დაბრუნება მარტო მათი გამოცდილების გამო ღირს და მეორე კიდევ იმ ბიზნესის მხარდაჭერისთვის, რომელსაც ისინი საზღვარგარეთ ფლობენ.





ოპოზიციას ყველა სამსახურში მინისტრის მოადგილედ თავისი წარმომადგენელი ჰყავს. ოპოზიციის კანონში დაიწერება, რომ პოლიციის უფროსებსა და მოსამართლეს რაიონის მოსახლეობა ირჩევს, ხოლო განათლების საბჭოს – რაიონის ხელმძღვანელობა.

**— ამის გაკეთებას მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდება. იმედი გაქვთ, რომ მიიღებენ?**

– დღეს ხელისუფლებაში არიან ალასანია, „რესპუბლიკელები“, „კონსერვატორები“, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებას სთხოვდნენ საქმის გაკეთებას, ახლა ხომ თვითონ არიან ხელისუფლებაში, რას აკეთებენ? ოპოზიციის შესახებ კანონის შექმნას მთელი ქვეყანა უნდა ადევნებდეს თვალყურს, ეს უნდა იყოს საჯარო, ტელევიზიით უნდა შუქდებოდეს, რომ ხალხი ხედავდეს, რომელ პარტიას რა წინადადება შეაქვს ამ კანონში. ამის მიხედვით იზომება მისი დემოკრატიულობა და

**ჟანა ასანიძე**

**558 00 16 16**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რუსეთის საგარეო უწყება ჟურნალისტების მიერ საზღვრის გადაკვეთას აბაშიძე-კარასინის შეხვედრას უკავშირებს



რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო სოფელ აძვთან რუსი მესაზღვრეების მიერ ქართველი ჟურნალისტების დაკავების ფაქტს ეხმაურება.

როგორც რუსეთის საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, 15 აპრილს რუსმა მესაზღვრეებმა, რომლებიც მთავრობათაშორის შეთანხმების შესაბამისად, სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს საზღვრის დაცვას ახორციელებენ, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სამი ქართველი ტელეჟურნალისტი დააკავეს.

„მოქმედი წესის თანახმად, დაკავებულები სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას გადაეცნენ. არსებული მონაცემები ადასტურებს, რომ საზღვრის დამრღვევები შეგნებულად და დემონსტრაციულად გადავიდნენ სოფელ აძვიდან, მის მიმდებარედ, სამხრეთ ოსურ დასახლებულ პუნქტში, სადაც სასაზღვრო ინფრასტრუქტურის გადაღება მოახდინეს“, – ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ამასთანავე, როგორც რუსეთის საგარეო უწყება აღნიშნავს, ეს უნდა შეფასდეს, როგორც დაგეგმილი აქცია, რომლის მიზანიც პრაღაში, დღეს მიმდინარე აბაშიძე-კარასინის შეხვედრის ატმოსფეროს დაძაბვა იყო.

„ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც პრაღის მორიგი შეხვედრის წინ მსგავსი სახის პროვოკაციის ორგანიზება ხდება. ყოველივე ეს, ისევე, როგორც ბოლო დროს გავრცელებული ცრუ ინფორმაცია რუსეთის თვითმფრინავების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის თაობაზე, მოწმობს, რომ ქართველ საზოგადოებაში გრძელდება ბრძოლა იმ ძალებს შორის, რომლებიც ცდილობენ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებასა და მათ შორის, ვინც იზიარებს მტრობის გაღვივებისკენ მიმართულ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის მიერ გატარებულ კურსს“, – ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## დღეს დიდი ხუთშაბათია





საქართველოს საპატრიარქოს ინფორმაციით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე წირვას ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში 9:00 საათზე დაიწყებს. წირვის დასრულების შემდეგ ფეხთბანვის წესი შესრულდება, რომლის დროსაც კათოლიკოს-პატრიარქი მსახურებაში მონაწილე 12 სასულიერო პირს ფეხს დაბანს.

დიდ ხუთშაბათს ტაძრებში ასევე 12-გზის სახარება იკითხება, რომლის დროსაც წმინდა წერილიდან 12-ჯერ წაიკითხება ადგილები უფალ იესო ქრისტეს ცხოვრებისა და ჯვარცმის შესახებ. ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში 12-გზის სახარების კითხვა საღამოს, 19:00 საათზე დაიწყება.

ვნების შვიდეულში დიდი ხუთშაბათი განსაკუთრებული დღეა. წმინდა სახარების მიხედვით, ამ დღეს მაცხოვარმა, თავის მოწაფეებთან ერთად, ბოლო პასექი და ფეხთბანვა აღასრულა. უფალმა მოწაფეები პირველად აზიარა და ამით ევქარისტიის საიდუმლო დააწესა. პასექის ჟამს მაცხოვარმა ასევე მიანიშნა, რომ მას ერთ-ერთი მოწაფე, იუდა ისკარიოტელი გასცემდა. (ინტერპრესნიუსი)

## სერჟანტთა სკოლის მსმენელები ირაკლი სესიაშვილს შეხვდნენ



გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა მომზადების სკოლის 47 მსმენელი პარლამენტს ესტუმრა. მათ თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარეს კითხვები ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებზე, სამხედრო სფეროში მიმდინარე მოვლენებზე, თავდაცვის შესახებ ახალ კანონზე და სამოქალაქო თავდაცვის განვითარებაზე დაუსვეს. ირაკლი სესიაშვილმა შეკითხვებს ამომწურავად უპასუხა და გარკვეულ საკითხებში სერჟანტებს თანადგომა აღუთქვა. სერჟანტებმა პარლამენტში დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მოწყობილი გამოფენაც დაათვალიერეს და საპარლამენტო სესიის სხდომასაც დაესწრნენ. სასწავლებელში ამჟამად 15-კვირიანი მომზადების კურსი სრულდება. როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, ამ ხნის განმავლობაში სერჟანტებმა მათთვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები შეიძინეს. კურსის დასრულების შემდეგ სერჟანტები საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფებში გადანაწილდებიან, სადაც თავიანთი მოვალეობის შესრულებას განაგრძობენ. (პირველი)

## დავით უსუფაშვილი: ბატონო როლანდ, დედამიწის ზურგზე არავის ვუსურვებ თქვენს მდგომარეობაში ყოფნას





უმცირესობის წევრმა, როლანდ ახალაიამ პარლამენტის თავმჯდომარესა და უმრავლესობის წევრებს განუცხადა, რომ მას ბრალის წაყენება არ აშინებს და ეს „აწყობს“ კიდეც, რათა ხალხმა ნახოს, რას ედავებიან. დეპუტატმა აშშ-ის საელჩოსა და ევროკავშირის წარმომადგენლობასაც მიმართა და სთხოვა, დაინტერესდნენ, რა ხდება პროკურატურაში.

„თქვენ ბრძანდებით არა მხოლოდ უმრავლესობის ხელმძღვანელი, არამედ პარლამენტის თავმჯდომარე. თქვენ ერთნაირად უნდა ზრუნავდეთ როგორც უმრავლესობის, ასევე, უმცირესობის ავტორიტეტზე და მის საქმიანობაზე. ძალიან გამაკვირვა თქვენმა სწრაფმა რეაქციამ, რაც ჩემთან დაკავშირებით კანონის შესწორებას მოჰყვა. მე ჩემი ცხოვრება მივლია ისე, რომ იმუნიტეტი არასდროს დამჭირვებია. ჩემი იმუნიტეტი არის ჩემი სიმართლე, მაგრამ მინდა გაოცება ფაქტთან დაკავშირებით გამოვხატო. არ მინდა დავიჯერო, რომ ასეთი მიდგომის მიზეზი თქვენი პირადი დამოკიდებულება იყო. გულახდილად გეტყვით, არ ვიცოდი და ახლა შემთხვევით გავიგე, თქვენი ნათესაური კავშირის შესახებ ცოტნე ბაკურიასთან და მგონია, რომ ეს არაფერ შუაში არ არის. მე უფრო მგონია, რომ თქვენ ამ საკითხს მხარი პოლიტიკური მორჩილების გამო აუბით“, – განაცხადა როლანდ ახალაიამ დავით უსუფაშვილის მისამართით.

დეპუტატის თქმით, სადეპუტატო იმუნიტეტთან დაკავშირებით კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგებს სამომავლოდ უმრავლესობის წევრები აუცილებლად დაინახავენ.

„18 თვეა ჩემი უფროსი შვილი სასამართლოს გარეშე ზის ციხეში. არავის ეს არ გაინტერესებთ. თქვენი ერთ-ერთი უფლებადამცველი ამბობს, „არ მაინტერესებს, ახალაიას დაუმტკიცებენ თუ არა დანაშაულს – ის უნდა იჯდეს იქ“. თქვენ ამას მშვიდად ხვდებით. დღეს რაც პროკურატურაში ხდება, თქვენი უმოქმედობის შედეგიც არის – თქვენ პროკურატურა გამოიყვანეთ საკანონმდებლო ორგანოს კონტროლიდან“, – განაცხადა ახალაიამ.

„ბატონო როლანდ, დედამიწის ზურგზე არავის, არასდროს ვუსურვებ თქვენს მდგომარეობაში ყოფნას. მე მეტი კომენტარი არ მექნება“, – უპასუხა დავით უსუფაშვილმა კრიტიკას. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ერთად ვიზრუნოთ საქართველოზე“ — „ქართული ოცნების“ საარჩევნო სლოგანი



კოალიცია „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საარჩევნო შტაბმა ფუნქციონირება ოფიციალურად დაიწყო.

როგორც შტაბის ხელმძღვანელმა, კახა კალაძემ განაცხადა, კოალიციის საარჩევნო შტაბი მობილიზებულია, გახსნილია და სრული დატვირთვით მუშაობს მთელი ქვეყნის მასშტაბით 74 საარჩევნო შტაბი; ყველა რესურსი მობილიზებულია საიმისოდ, რომ ეს არჩევნები კოალიციისა და საქართველოს მოსახლეობის სრული გამარჯვებით დასრულდეს.

„არჩევნების მშვიდ, დემოკრატიულ და თავისუფალ გარემოში ჩატარება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ჩვენს ინტეგრაციას შეუწყობს ხელს. ამ არჩევნებით ჩვენ დავანახვებთ მსოფლიოს, რომ საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები შეუქცევადი ხასიათისაა. ეს არჩევნები უპრეცედენტოა საქართველოსთვის. აქამდე პირდაპირი არჩევნების გზით, მოსახლეობის მიერ მხოლოდ დედაქალაქის მერი ირჩეოდა 30%-იანი ბარიერით. ამჯერად 12 ქალაქის მერი და 59 გამგებელი აირჩევა პირდაპირი არჩევნების გზით. უმნიშვნელოვანესია ასარჩევი ბარიერის 50%-მდე აწევა, რაც უპირობო განაცხადია იმაზე, რომ ჩვენს პოლიტიკურ ძალას ღია და კონკურენტუნარიან არჩევნებში გამოწვევებისა და რისკების არ ეშინია. ჩვენ მიერ შემოთავაზებული კანდიდატები იქნებიან შედეგზე ორიენტირებული, გამჭვირვალე, პასუხისმგებლიანი, ანგარიშვალდებული და კანონმორჩილი მმართველები, რომელთა მთავარ ღირებულებას წარმოადგენს ადამიანი, მთავარ ამოცანას კი – მოქალაქის მსახურება. მივმართავ ყველა ამომრჩეველს, იყავით მაქსიმალურად ჩართულები“, – განაცხადა კახა კალაძემ. მისი თქმით, არჩევნებზე მმართველი კოალიციის სლოგანი იქნება „ერთად ვიზრუნოთ საქართველოზე“. ვიცე-პრემიერმა საარჩევნო შტაბის პრესსპიკერი, გიორგი გეგეჭკორი წარადგინა.

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, ჩვენს გამარჯვებაში. რაც შეეხება შტაბებს, დღეის მდგომარეობით, ფაქტობრივად, ყველა შტაბი ამოქმედებულია. თვითმმართველ ქალაქებში მერობის კანდიდატებს კი 26 აპრილს წარმოგიდგენთ“, – განაცხადა გიორგი გეგეჭკორმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კონკურენციის სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

კონკურენციის სააგენტოს გიორგი ბარაბაძე უხელმძღვანელებს. კონკურენციის სააგენტოს სტრუქტურა და საქმიანობის წესი მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაშია განსაზღვრული. კანონის თანახმად, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის დანიშვნის ბოლო ვადა 15 აპრილი იყო.



„ამ საკითხზე ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში ვმუშაობდით. ეს სააგენტო ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ ჯანსაღი ბიზნესგარემო შეიქმნას და მონოპოლიების ხელოვნურად შექმნას ხელი არ შეეწყოს. ასე რომ, იმედი მაქვს, კონკურენციის სააგენტო ძალიან ეფექტურად დაიწყებს მუშაობას“, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

(ინტერპრესნიუსი)



## გუბაზ სანიკიძე: „არჩევნების შემდეგ არც ერთ ჩემს ნათესავს არ დაუწყია მუშაობა“

პარლამენტში, პლენარულ სხდომაზე ქუთაისის მაჟორიტარმა დეპუტატმა გუბაზ სანიკიძემ, უმცირესობის წევრების ზურაბ ჯაფარიძისა და ირმა ნადირაშვილის განცხადებას უპასუხა და აღნიშნა, რომ მისმა ოპონენტებმა ცრუ და არასწორი ინფორმაცია გაავრცელეს.

გუბაზ სანიკიძის განცხადებით, 10 აპრილს წყალტუბოში „ნაციონალების“ წინააღმდეგ მოწყობილ აქციაში, მისი ბიუროს არც ერთი წარმომადგენელი არ მონაწილეობდა.

„ჩემმა კოლეგებმა უმცირესობიდან გააკეთეს განცხადება და ჩემი სახელი და გვარი ახსენეს, რომ ჩემი ბიუროს წევრები იმყოფებოდნენ წყალტუბოში აქციაზე. მინდა ირმა გავახარო და ვუთხრა, რომ ჩემი ბიუროს არც ერთ წევრი არ ყოფილა იქ. სწორედ იმ დღეს ქუთაისის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, კონფერენციას ვესწრებოდით. ცუდი ინფორმატორი გყავთ ძალიან. არც ფიქრია სანიკიძე არ არის ჩემი ბიძაშვილი და არც ერთ ჩემს ნათესავს არ დაუწყია მუშაობა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. ჩემი რჩევაც და გაფრთხილებაც იქნება, რომ მორჩეთ საბოლოოდ ასეთ საუბარს“, – განაცხადა გუბაზ სანიკიძემ. (ინტერპრესნიუსი)

# „სიცრუე და ორპირობა აგნებს“... პასუხი დეპუტატ ეკა ბესელიას

სამწუხაროდ, მეც არ ვიყავი თბილისში, როცა ქალბატონ ეკა ბესელიას ინტერვიუ გამოქვეყნდა გაზეთ „ალიაში“ 25 მარტს და მხოლოდ დღეს მაქვს შესაძლებლობა, ზოგიერთ მის მოსაზრებას, რომელიც აშკარად არ შეესაბამება სინამდვილეს, პასუხი გავცე.

მე მას რამდენჯერმე პირადად ვესაუბრე იმ პარტნიორებთან ერთად, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სააკაშვილის დროს წართმეული აქტივების დაბრუნებაში. საქმე, რომელმაც მისი დიდი ინტერესი გამოიწვია და ჩვენგან სრული ინფორმაცია მოითხოვა, მხოლოდ თერთმეტი თვის შემდეგ იქნა გადაგზავნილი ქალაქ ფოთის პროკურატურაში. ეს არის ფაქტი!!

სწორედ ქალბატონი ეკა იყო ინიციატორი, პორტთან დაკავშირებულ საქმეებს ძირფესვიანად გასცნობოდა და საერთო ნაცნობების მეშვეობით გვეუბნებოდა, რომ ნაციონალების მიერ შექმნილი და მოქმედი სქემების შესახებ პირადად აპირებდა მაშინდელი პრემიერ-მინისტრისთვის მოეხსენებინა. უფრო მეტიც, ბატონ ტრიპოლსკის ჩართვაც შეხვედრაზე, რასაც ახსენებს, მისი ინიციატივა იყო, თუმცა რა მოსაზრებით, ეს მან თავად კარგად უწყის... როცა ინვესტორი მნიშვნელოვანი ინვესტიციით საქართველოს ინფრასტრუქტურას ეცნობოდა, მასთან შეხვედრა ასევე ქალბატონი დეპუტატის ინიციატივა იყო და სწორედ მაშინ გამოჩნდა ბატონი ტრიპოლსკიც... ალბათ, თქვენ ჩაიფიქრეთ, რომ ასე უფრო განმტკიცდებოდა თქვენი პოზიციები... ქალბატონი ეკას სიტყვებია, რომ ჩვენი პრეტენზიები ამ საქმეში, განსაკუთრებით მე-9 და მე-10 ტერმინალების ტენდერის გაყალბების შესახებ, ობიექტურია, დოლიძე აქ შეიძლება მხოლოდ შემსრულებელი და უბრალო პაიკია, ხოლო მთავარი მოქმედი პირები ნაციონალები და ექსპრეზიდენტის ბიძა თემურ ალასანია შეიძლება ყოფილიყვნენ და ის ამ სქემით დაინტერესდა და ბოლომდე შეეცდებოდა ამ სქემის გაშიფვრას...

ნუთუ ეს სქემა მართლა გაშიფრა და აღმოაჩინა, რომ ფოთის პორტში შექმნილ მონოპოლიასთან არავითარი კავშირი წინა ხელისუფლებას არ ჰქონდა და მათი ჩარევის გარეშე პორტის მშრალი ტვირთების ყველა ტერმინალი (რვა ტერმინალი, პრაქტიკულად მთელი პორტი!!) ნიუ-იორკში მცხოვრები თემურ ალასანიას კარის მეზობლისა და საქმიანი პარტნიორის იოსებ დოლიძის ხელში თავისით აღმოჩნდა? და ამ მდგომარეობაში ქალბატონ ჟანა ასანიძესთან ინტერვიუში ნათქვამი ფრაზები, რომ ის ვერავის მხარეს ვერ დაიჭერს და მხოლოდ სამართლისა და კანონიერების მხარეზე იდგება, ასე უნდა გავიგოთ? ჩვენ არასდროს არ მოგვითხოვია მისთვის, ჩვენს მხარეს ყოფნა, ჩვენ ვითხოვდით საქმის შესწავლას და კომპეტენტური ორგანოებისთვის დროულად გადაცემას საპარლამენტო კომისიის დასკვნის, წინადადების ან რეკომენდაციის სახით, სწორედ ნახსენებ შეხვედრაზე განაცხადა მან, რომ არ მოითმენდა ფოთის პორტში შექმნილ ასეთ მდგომარეობას და ერთი თვის განმავლობაში გადაწყვეტილებას მიიღებდა, რადგან ის აშკარად ხედავდა დანაშაულის ნიშნებს... ეს შეხვედრა 2013 წლის თებერვლის ბოლოს შედგა...

არავითარი დასკვნა (ან რეკომენდაცია ან წინადადება), თქვენგან მხოლოდ ჩვენი განცხადება გადაიგზავნა ფოთის პროკურატურაში თქვენი წერილის თანხლებით და ამას უწოდებთ თქვენ, რომ ვერც ერთის მხარეს ვერ დაიჭერდით? იმის გარჩევას, სად, როდის და რა დოკუმენტი უნდა გადაგეგზავნათ, თითქმის ერთი წელი სჭირდებოდა? იქნებ აგვიხსნათ, რამდენი დრო მოანდომეთ ჩვენი საკითხის შესწავლას და ეს დრო საქმის გაჭიანურების დროს რატომ ემთხვევა? ჩვენ დოლიძეს კი არ ვედავებით, ვდაობთ სააკაშვილისდროინდელი სახელმწიფო სტრუქტურების გადაწყვეტილებებზე, რომელთაც თავიანთი მოქმედებით წაგვართვეს რა აქტივები, გადასცეს ისინი ერთ პიროვნებას, ერთ კომპანიას... ბუნებრივია, რომ ეს პიროვნება დღეს გააფთრებით იცავს სააკაშვილისდროინდელი ხელისუფლებისა და პირადად სააკაშვილის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს (რადგან სააკაშვილმა თავისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით გადასცა დოლიძის კომპანიას სანაპირო ზოლი საკუთრებაში!). სამწუხაროა, რომ დღეს დეპუტატი ეკა ბესელია, ჩვენი მოსაზრებით, ნებით თუ უნებლიეთ, სამართლებრივი პროცედურების თეზას ამოეფარა და მომლოდინეს რეჟიმშია.... სწორედ ეს გვაწუხებს, ქალბატონო ეკა, რომ თქვენი ჩვენს განცხადებაზე ასეთი დამოკიდებულებით (დროის გაწელვითა და საკითხის მიმართ შემდეგში დაუინტერესებლობით) დღეს მყარად დგანან სწორედ ის პირები, ვინც „ნაციონალურ მოძრაობას“ აფინანსებდა და საკუთარ ლობე-ყორედ მიაჩნდა ფოთის პორტი... სწორედ ამიტომ გვიჩნდება კითხვები და ვსაუბრობთ ამ თემებზე....

რაც შეეხება ჯღარკავას, ის ნამდვილად გამოცდილი კადრია, განსაკუთრებით კომპანიების კუთვნილი თანხების ანგარიშებიდან გამოტანა-გადარიცხვაში და დღემდე გაურკვეველი მიმართულებით გადაგზავნაში... ნამდვილად გვჯერა ქალბატონი ნანა ჩაჩუასი, რომ მის შვილს მილიონობით ლარი სახლში არ მიუტანია, მაგრამ როცა ადამიანი კომპანიების დირექტორია და ხელფასს იღებს, კეთილი უნდა ინებოს და ან გატანილი მილიონები დააბრუნოს ან ის პიროვნება დაასახელოს, ვისაც ეს თანხები მიუტანა და განა ეს საქციელი მაინც მისი გამართლება იქნება? მაშინ როცა ამ ფაქტების შესახებ ქალბატონმა ეკამ იცის და ის ჩვენ მიერ აღნიშნული ფონდის პრეზენტაციაზე ლევან ჯღარკავასთან ერთად ჩნდება და ამ ფონდის მიერ ჩატარებული საქმიანობით ამაყობს, ჩვენთვის ძალიან ბევრი კითხვა წარმოიშობა... როგორ დატოვა ლევან ჯღარკავამ ასობით ფოთელი უხელფასოდ, როგორი ცინიზმით ექცეოდა პარტნიორებს და გვეუბნებოდა, რომ ასეულ ათასობით ჩვენი კუთვნილი თანხა მხოლოდ „დროებით“ მიჰქონდა.. ერთი ჩვენ გვკითხოს, „პრომეტკო ჯორჯიას“ და „ჯე-ეს-კოს“ პარტნიორებს, როგორ მოგვწონს სიმართლისთვის პრინციპულად მებრძოლი ეკა ბესელიას გვერდით ლევან ჯღარკავა?

**ცრუობთ, ქალბატონო ეკა**, როცა ამბობთ, რომ ჯღარკავასთან მე ვითომ პირადად უნდა ვარკვევდე საქმეს, თქვენ თავად იყავით ჩართული ამ პროცესში ქალბატონი ნანას თხოვნით და არ მეგონა, თუ ეს ფაქტი ასე მალე დაგავიწყდებოდათ... რაც შეეხება ფონდს, ეს ჩვენს ბიზნესს არ ეხება, ეს ჩვენი საკითხი არ არის, საზოგადოებაში ეჭვების გასაფანტად კარგი იქნებოდა, ამ ფონდის დამფინანსებლების ვინაობა გასაჯაროებულიყო, მაგრამ ამის თაობაზე ისევ ფონდის დამფუძნებელ ლევან ჯღარკავას(!) უნდა მივმართოთ... ისიც, ბუნებრივია, რომ ჩვენ ვმოქმედებთ ჩვენი ინტერესების შესაბამისად და ქალბატონი ეკა ვალდებულია, სახელმწიფო ინტერესის შესაბამისად იმოქმედოს... სახელმწიფო ინტერესი კიდევ ყველასთვის კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფაცაა...

მინდა დაგარწმუნოთ, რომ არ გავჩერდებით, სანამ კანონიერ გადაწყვეტილებას არ მივაღწევთ ჩვენს საქმეებზე.

**ქალბატონო ეკა! ცდებით** (ძალიან არ გვინდა, რომ ცრუობდეთ!), როცა ამბობთ, რომ ჩვენ თქვენი მხრიდან დახმარებაზე ვფიქრობთ, ან განზრახვა გვქონდა, მხარე ყოფილიყავით, არა... ჩვენ გვინდა კანონის მხარეზე იყოთ თქვენც და თქვენი კოლეგებიც, საქმეების გაჭიანურებასა და თაროებზე შემოდებას ნამდვილად ვერ შევურიგდებით...

*მამუკა კაკუშაძე*
*ომერ სარის*
*წარმომადგენელი*

# სერგეი ლავროვი: თუ „ცხელი თავები“ კიევში გონს არ მოეგებიან რუსეთი ადეკვატურ ზომებს მიმართავს




მოსკოვი მოითხოვს, „უკრაინამ ქვეყნის აღმოსავლეთით ე.წ. უსაფრთხოების ძალების გაგზავნა შეწყვიტოს, რამდენადაც ეს საერთაშორისო ნორმებს არ შეესაბამება“.

აღნიშნული მოთხოვნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ჩინელ კოლეგასთან შეხვედრაზე გააჟღერა.

„ძალის გამოყენება დაუშვებელია. სიტუაცია მხოლოდ კონსტიტუციური რეფორმებით უნდა მოგვარდეს. რუსეთი კატეგორიულად გმობს უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთით სამხედრო ქვედანაყოფებისა და უსაფრთხოების ძალების გაგზავნას, თუ „ცხელი თავები“ კიევში გონს არ მოეგებიან და ტოტალურ ტერორს არ შეწყვეტენ მოსახლეობის მიმართ, რუსეთი იძულებული იქნება, უკრაინელი ხალხი დაიცვას და ადეკვატური ზომები მიიღოს“, – განაცხადა ლავროვმა.

ამასთანავე, რუსეთი ასევე მიუღებლად მიიჩნევს კიევის გეგმებს გაერო-ს სამშვიდობო მისიასთან დაკავშირებით. (სკანდალ.ჯი)

# „ერთსქესიანთა ქორწინებაზე პროტესტი არ ნიშნავს, რომ ჩამორჩენილები ვართ, ან ჰომოფობები“




შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, „სოციალ-დემოკრატების“ აღმასრულებელი კომიტეტის წევრ კობა ნარჩემაშვილის განცხადებით, ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტთან დაკავშირებული საკითხები საზოგადოების ფართო მასების მონაწილეობის გარეშე არ უნდა წყდებოდეს.

„თუ მაინცდამაინც სექსუალური უმცირესობების საკითხს ჩავუღრმავდებით, მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად ცალკეული განცხადებებისა და პროვოცირებული ინციდენტებისა, საქართველო ყოველთვის ლოიალური იყო ასეთი ადამიანების მიმართ. არასდროს საქართველოში საძინებელში არავინ არავის შევარდნია! ადამიანმა თავისი ემპირიული გამოცდილებითა და ცხოვრებით, განასხვავა ერთმანეთისგან ბოროტი და კეთილი, კარგი და ცუდი, ლამაზი და მახინჯი... ამ ფაქტს თავის დროზე დაარქვა ცუდი და დღემდე საზოგადოებაში ეს ასეა ჩამოყალიბებული. დღეს რომ ვუთხრათ, არა ეს კარგია, საზოგადოება მზად არ არის. მახსენდება პარიზი, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინებაზე კინაღამ დაინგრა. იმის გამო რომ საზოგადოება ამ საკითხის მიმართ გარკვეულ პროტესტს გამოხატავს, სრულებითაც არ ვთვლი, რომ ჩამორჩენილები ვართ ან ჰომოფობები. არც ის მგონია, რომ მაინცდამაინც ვინმე გვავალებდეს, გინდა თუ რა სასწრაფოდ მიიღეთ ეს კანონი, თუ არა, ევროკავშირის ასოცირებას ხელი შეეშლებაო.

იმ ჯგუფებმა, ვინც ამ კანონპროექტის მომზადებაში არიან ჩართულები, საზოგადოება უნდა გახადონ უფრო ინფორმირებული. აუხსნან, რა არის ეს კანონი, რისთვის არის საჭირო, იყოს ამაზე მსჯელობა. ამ საკითხს არ ჰყოფნის მხოლოდ პარლამენტის უმრავლესობის მხარდაჭერა. გარკვეული ჯგუფები და არასამთავრობო ორგანიზაციები დაინტერესებული არიან, რომ 17 მაისი ბევრჯერ მოხდეს, მაგრამ ახალი 17 მაისები არ გვჭირდება“. – განაცხადა კობა ნარჩემაშვილმა. (რეპორტიორი)

# მიხეილ-გელა სალუაშვილი მელიასა და ნარმანიას კონკურენტებად არ მიიჩნევს



პოლიტიკური გაერთიანების „უფლის სახელით – უფალია ჩვენი სიმართლე“ თბილისის მერობის კანდიდატი გელა სალუაშვილი „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატებს კონკურენტებად არ აღიქვამს. როგორც სალუაშვილმა განაცხადა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ცხრაწლიანი უსამართლო რეჟიმით საზოგადოების ნდობა სრულად დაკარგა. ხელისუფლებამ კი მათთან კოჰაბიტაციით ავტორიტეტი შეირყია.

„ის, რაც ზვიად გამსახურდიამ და მისმა თანამებრძოლებმა გააკეთეს, ისევ გასაკეთებელია – პირობითად რომ ვთქვათ, თბილისის ომი ხელახლა გადასახდელია. სათავე უნდა გაიწმინდოს, რომ ყველაფერი დალაგდეს. თბილისის დღევანდელი ბიუჯეტი „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალების“ კომპრომისის შედეგადაა მიღებული. ეს არ არის ის ბიუჯეტი, რომელიც რეალურად მოუგვარებს პრობლემებს დედაქალაქელებს. არც ნიკა მელიასა და არც დავით ნარმანიას კონკურენტებად არ აღვიქვამ, რადგან არც ერთ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, ხალხში ნდობა აღარ აქვს. შეიძლება დამნაშავე და მისი თანამზრახველი კონკურენტად აღიქვა? – მე მჯერა, რომ, თუ ქართველი ხალხი კარგად დაფიქრდება, მიხვდება, რომ ერთადერთი რეალური ძალა, რომელსაც მათი დახმარება შეუძლია, ეს ჩვენ ვართ“, – განაცხადა მიხეილ-გელა სალუაშვილმა. (კვირა)

# თუ პარლამენტმა ეს კანონი დაამტკიცა, უცხოეთიდან გამოგზავნილი ამანათების მიღება გაძვირდება

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ და გადამზიდავი კომპანიები აცხადებენ, რომ „საფოსტო კავშირის შესახებ“ ახალი კანონპროექტის მიღებით, შესაძლოა, DHL, TNT, FEDEX და ორმოცამდე გადამზიდავმა კომპანიამ საქართველოს ბაზარი დატოვოს.

ამის მიზეზად არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი კანონში ჩადებულ რეგულაციებსა და საფოსტო კავშირის სფეროში საქმიანობის მსურველი ნებისმიერი კომპანიის საქმიანობაზე ბიუროკრატიულ ბარიერების დაწესებას ასახელებს. კანონპროექტის ახალი ვარიანტი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიმუშავა და უახლოეს დღეებში პარლამენტს გადაუგზავნის განსახილველად. როგორ აზარალებს კანონპროექტის ახალი ვარიანტი ასიათასობით მოქალაქეს, რომლებსაც ოჯახებში ამანათებს უცხოეთიდან სწორედ საერთაშორისო გადამზიდავი კომპანიების საშუალებით უგზავნიან?

„ალიას“ ესაუბრება საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს მთავარი ანალიტიკოსი **ნათია კუტივაძე:**


ნათია კუტივაძე




– ახალი კანონის მიხედვით, 30 კგ-მდე ტვირთების და 2 კგ-მდე დოკუმენტაციის გადაზიდვაზე ექსკლუზიური უფლებამოსილება ეძლევა „საქართველოს ფოსტას“. სიტყვაზე, თუკი მომხმარებელი საქართველოს ტერიტორიაზე გამოგზავნის საზღვარგარეთიდან „დიეიჩელის“ გზავნილს, ის საბაჟოზე უნდა განთავსდეს საქართველოს ფოსტის კონვერტში, გადაკეთდეს გზავნილის სახით და „საქართველოს ფოსტის“ გზავნილის სახით უნდა მიეწოდოს მომხმარებელს. ჩვენ შენიშვნები გვქონდა ამ საკითხზე და მიგვაჩნია, რომ კანონში ჩადებული ეს ნორმა ქმნის მონოპოლიის საფრთხეს, გარდა ამისა მომხმარებელს ართმევს უფლებას, ისარგებლოს მისთვის სასურველი გადამზიდავი კომპანიით. ჩვენ გვქონდა შეხვედრა ეკონომიკის მინისტრის მოადგილესთან და მან განგვიმარტა, რომ დააზუსტებენ კანონის ამ ნაწილს და შეცვლიან ისე, რომ ესეთი ტიპის საფრთხეები აღარ არსებობდეს.

**— კიდევ რა პრეტენზიები გაქვთ ახალ კანონპროექტთან?**

– ამ სექტორში კანონპროექტის მიხედვით შემოდის სახელმწიფო რეგულირება. რას ნიშნავს სახელმწიფო რეგულირება? ვერც ერთი კომპანია ველარ შეძლებს საქართველოს ბაზარზე საქმიანობას, თუ არ გაივლის კომუნიკაციის მარეგულირებელი კომისიის ავტორიზაციას. თუმცა ავტორიზაციის პირობაა დაწესებულია არა ის, რასაც გულისხმობს ეკონომიკის არსი, რომ მოხდეს ჩვეულებრივი რეგისტრაცია, რათა სახელმწიფოს ჰქონდეს თავისი სტატისტიკური აღრიცხვა, არამედ საკვალიფიკაციო მოთხოვნის აუცილებლობა და

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ზაზა გაბედავა: „ყაჩაღი ჭანია ახალაიებისგან დავალებულია და „ნაციონალების“ აქციებზე დარბის“



რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერის, კუდ-ის ყოფილი წევრის, წარსულში მოხუცებულთა ოჯახების დაყაჩაღებით გასამართლებული თემურ ჭანიას დაუყოვნებლივ დაპატიმრებას ითხოვს.

როგორც ზაზა გაბედავა აცხადებს, თემურ ჭანიამ 2009 წელს სოფელ მუჟავაში მოხუცების ოჯახი დააყაჩაღა, რის გამოც შვიდი წელი მიესაჯა, როლანდ და ბაჩო ახალაიების ჩარევითა და ძალისხმევით ორ წელიწადში გაათავისუფლეს.

„თემურ ჭანია არის ყაჩაღი და ახალაიების მონა-მორჩილი. მან 2009 წელს სოფელ მუჟავაში მოხუცების ოჯახი დააყაჩაღა, რისთვისაც სასამართლომ 7 წელი პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა ბაჩო ახალაიამ 2 წელიწადში გამოაშვებინა გარეთ. ყაჩაღი ჭანია ახალაიებისგან დავალებულია და ახლა დარბის გამწარებული „ნაციონალების“ აქციებზე. მაისური აცვია წარწერით: „ბაჩო ახალაია გმირია“. დაპატიმრებამდე კუდ-ის წევრიც იყო და ყველა უკანონობაში მონაწილეობდა. მოვითხოვ, სასწრაფოდ დაინტერესდნენ სამართალდამცველები მისი წარსულით. დარწმუნებული ვარ, სათანადოდ დაისჯება და პასუხს აგებს ყველა იმ დანაშაულზე, რომელსაც ახალაიების დაკვეთით ასრულებდა“, – აცხადებს ზაზა გაბედავა.

ამასთანავე, გაბედავას თქმით, ძმებ ჭანიებს ნათესაური კავშირი აქვთ ბაჩო ახალაიას ადვოკატ რომეო საჯაიასთან.

„ყაჩაღ და ბანდიტ ჭანიებს ახლო ნათესაობა აქვთ ბაჩო ახალაიას ადვოკატ რომეო საჯაიასთან. ვფიქრობ, ესეც საყურადღებო ფაქტია“, – აღნიშნავს გაბედავა. იგი „ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ ერთ აქტიურ მხარდამჭერზე, „თავისუფალი ზონის“ წევრ ირაკლი ჩხვირკიაზე საუბრობს და მას „ნაცზონდერს“ უწოდებს. გაბედავას თქმით, ჩხვირკია „ნაციონალური მოძრაობის“ აქციაზე სამხედრო ფორმით გამოჩნდა, რისი მორალური უფლებაც არ აქვს.

ბიზნესმენმა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე 26 მაისს დაგეგმილი საპროტესტო აქცია დააანონსა. აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი პოლიტპატიმარი ლევან ჩაჩუაა. ზაზა გაბედავა აცხადებს, რომ საინიციატივო ჯგუფი, ოპოზიციასთან კოჰაბიტაციის დასრულებასა და მიხეილ სააკაშვილის „დანაშაულებრივი რეჟიმის გასამართლებას“ მოითხოვს. (კვირა)

*მეხუთე გვერდიდან*

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესწავლა. ეს სუბიექტური შეფასების საგანია. გარდა ამისა მატერიალურ ტექნიკური ბაზის შემოწმება ხდება სალიცენზიო რეჟიმის დროს და არა საკვალიფიკაციო რეჟიმის მომენტში. ეს შეფასება შესაძლოა იყოს სუბიექტური.

ჩვენ ვუთხარით, ეკონომიკის სამინისტროს, რომ ავტორიზაციის კანონპროექტით განსაზღვრული რეგულაცია არ შეესაბამებოდა ავტორიზაციის საერთო არსს და ამავდროულად არ შეესაბამებოდა ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულ დებულებას, სადაც საფოსტო და საკურიერო გადაზიდვების სფეროს ლიბერალიზაციაა გათვალისწინებული. ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს სალიცენზიო რეჟიმს, მხოლოდ უნივერსალური მომსახურების სეგმენტზე, დანარჩენის შესახებ კი კანონმდებლობა უნდა იყოს ლიბერალიზებული. ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ გვიპასუხა, რომ გააუქმებს ავტორიზაციის მოთხოვნად საკვალიფიკაციო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოთხოვნებს და შეიტანენ კანონპროექტში ისეთ ცვლილებებს, რომ ეს ცვლილებები თანხვედრილი იყო ასოცირების შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებაში ჩადებულ დებულებებთან.

**— თუკი კანონპროექტის ეს ვარიანტი იგივე სახით დამტკიცდება, დააზარალებს ამანათების გამომგზავნებს და მიმღებებს? ხომ არ არის მოსალოდნელი მომსახურების ფასის გაზრდა?**

– ზოგადად თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვა, რა თქმა უნდა, აზარალებს ბიზნესს და იწვევს ფასების ზრდას. ეს რისკი თავისთავად არსებობს, მომხმარებლები, სავარაუდოდ, დაზარალდებიან, ვინაიდან თუკი საერთაშორისო კომპანიები იძულებული იქნებიან, გააგრძელონ თავიანთი საქმიანობა საქართველოს ფოსტის ქვეშ, ისინი იძულებული გახდებიან საქართველოს ფოსტას გადაუხადონ დამატებითი მარჟა, მომსახურების საფასურის სახით, გარდა ამისა, გადაუხადონ მარეგულირებელ კომისიას საფასური, რაც გაზრდის კომპანიის ხარჯებს და ეს ყველაფერი საბოლოოდ აისახება მომხმარებელზე. გარდა ამისა, საფრთხე ექმნება კონფიდენციალურობასაც, ვინაიდან როცა მომხმარებელი მომსახურე ფირმად აირჩევს კონკრეტულ გადამზიდავ კომპანიას, მაგალითად, „დიეიჩელს“, მას სურს, რომ „დიეიჩელის“ საშუალებით მოხდეს გადაზიდვის ყველა ეტაპზე ოპერირება და არ მოხდეს, ვთქვათ, საქართველოს ტერიტორიაზე ამანათის იძულებით შეცვლა, საქართველოს ფოსტის გადამზიდველის სახით. ეს კონფიდენციალურობასაც და მენეჯმენტის სხვა სტანდარტებზე გადასვლასაც გულისხმობს და მომსახურების სხვა ხარისხსაც. მოკლედ, 30 კგ-მდე ამანათები და 2 კგ-მდე დოკუმენტაციის ექსკლუზიური გადაგზავნის კომპეტენცია ეძლევა „საქართველოს ფოსტას“, შესაბამისად, კანონპროექტით გათვალისწინებულია, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე მხოლოდ „საქართველოს ფოსტა“ შეძლებს გზავნილების ოპერირებას.

**შორენა გოგოლაძე**
599 22 75 27

საქართველოს ფოსტა
GEORGIAN POST

DHL

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გარემოს დაცვის მინისტრმა პარიზის მინისტერიალზე „მწვანე ტრანსპორტის“ განვითარებაზე ისაუბრა



საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, ტრანსპორტის, ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის პან-ევროპული პროგრამის მინისტერიალი გაიხსნა. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი 56 ქვეყნის დელეგატთა შორის ერთ-ერთი მთავარი გამომსვლელია. მინისტერიალზე ხათუნა გოგალაძემ ტრანსპორტის, ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის სექტორების ინტეგრირებაზე, ასევე, პარიზის დეკლარაციაში გათვალისწინებული პრიორიტეტული მიზნების განხორციელების მნიშვნელოვნებაზე ისაუბრა.

„მინისტერიალის მიზანს ევროპის რეგიონში მდგრადი და უსაფრთხო ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობისთვის ერთიანი სტრატეგიული მიდგომის ჩამოყალიბება წარმოადგენდა და ის სამი სექტორის, ჯანდაცვის, გარემოსა და ტრანსპორტის სფეროების ინტეგრაციას ითვალისწინებს. მან ყურადღება საქართველოში მდგრადი განვითარების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე, კერძოდ კი ურბანულ გარემოში მწვანე და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ტრანსპორტის განვითარების შესაძლებლობაზე გაამახვილა“, – განაცხადეს სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, სტატისტიკურად ტრანსპორტი ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. მინისტერიალის მონაწილეებმა მწვანე ტრანსპორტის განვითარების შესაძლებლობებიც განიხილეს, რაც ნაკლებ ზიანს აყენებს გარემოს და შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობას. (ინტერპრესნიუსი)

## თბილისის ყველა ტაძარსა და საკულტო ნაგებობას 10-ათასლარიანი ფულადი ლიმიტი გამოეყოფა



თბილისში და მასთან შემოერთებულ ტერიტორიებზე არსებულ ყველა ტაძარსა და საკულტო ნაგებობას, მაისიდან, 10 ათასი ლარი გამოეყოფა.

როგორც დედაქალაქის საკრებულოში აცხადებენ, ეს გადაწყვეტილება უმრავლესობამ და უმცირესობამ ერთხმად მიიღეს.

„თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარს, ანჩისხატის, ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიებსა და დედაქალაქში არსებულ სხვა ტაძრებს ფულადი ლიმიტი მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და ასევე სხვა მიზნებისთვის განესაზღვრათ. აღნიშნული თანხის მიღება მხოლოდ რაიონული გამგეობებისთვის წერილობითი მიმართვის შემდგომ იქნება შესაძლებელი“, – აცხადებენ თბილისის საკრებულოში.

ამასთანავე, ბიუჯეტიდან თანხა გამოეყოფა სვეტიცხოვლისა და თბილისს შემოერთებულ სხვა ტერიტორიაზე არსებულ ტაძრებს. თანხა სულ 142 ტაძრისთვის და სხვადასხვა კონფესიის საკულტო ნაგებობისთვის გამოიყოფა. (ინტერპრესნიუსი)

## სასწავლო წლის ხანგრძლივობა იზრდება




ახალი სასწავლო წლის დაწყების თარიღთან დაკავშირებით ცვლილებები იგეგმება. როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაურმა აღნიშნა, სკოლებში სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით სამინისტრო განცხადებას მოგვიანებით გააკეთებს. მისივე თქმით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილებები შედის და სასწავლო წლის ხანგრძლივობა იზრდება.

„ჩვენთან სასწავლო წელი 34-კვირიანი იყო. გადავდივართ 36-კვირიან სასწავლო წელზე. შესაბამისად, გარკვეული ცვლილებები სწავლის დაწყებისა და დასრულების ვადაში, რა თქმა უნდა, იქნება. სასწავლო წლის ხანგრძლივობა იზრდება, შესაბამისად, გადანაცვლება მოხდება და ალბათ, სწავლა დაიწყება უფრო ადრე. განისაზღვრება ვადები. მუშაობენ ექსპერტები, რათა გაითვალისწინონ ყველა გარე და შიდა ფაქტორი, რაც შეიძლება სასწავლო წლის დაწყების განმსაზღვრელი იყოს“, – აღნიშნა ლია გიგაურმა. (ინტერპრესნიუსი)

## სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 113-ე საჯარო სკოლის ბუფეტი დახურა



სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, თბილისის სამმართველოს წარმომადგენლებმა სანიტარიული ნორმების უხეში დარღვევების გამო, ცოტნე დადიანის ქუჩაზე მდებარე 113-ე საჯარო სკოლის ბუფეტი დახურეს და ბიზნესოპერატორი 1000 ლარით დააჯარიმეს.

„ანტისანიტარია, მაცივრის უქონლობა, რის გამოც დარღვეული იყო სურსათის შენახვის ტემპერატურული რეჟიმი, მზა პროდუქტებისთვის განკუთვნილი არასათანადო ლანგრები და მეორადი მუყაოს ყუთები, რაც იწვევს სურსათის დაბინძურებას – ასეთია მცირე ჩამონათვალი იმ კრიტიკული შეუსაბამობებისა, რის გამოც სკოლის ბუფეტს საწარმოო პროცესი შეუჩერდა“, – განმარტავენ სააგენტოში. (ინტერპრესნიუსი)

## ბათუმს უკრაინელი ჟურნალისტები სტუმრობენ



უკრაინის ცენტრალური არხების გადამღები ჯგუფები სამი დღის განმავლობაში ბათუმსა და მის შემოგარენს, მთიან აჭარასა და რეგიონის ღირსშესანიშნაობებს მოინახულებენ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინფორმაციით, უკრაინელი ჟურნალისტები რეგიონის კულტურულ, ეკონომიკურ და საინვესტიციო გარემოს შესახებ სატელევიზიო რეპორტაჟებსა და საგაზეთო სტატიებს მოამზადებენ.

ჟურნალისტებთან ერთად რეგიონში უკრაინული ტურ-სააგენტოს წარმომადგენლებიც იმყოფებიან.

„24 ტუროპერატორი 4 დღის განმავლობაში რეგიონის ტურისტულ ინფრასტრუქტურას, სასტუმროებსა და გასართობ ობიექტებს გაეცნობიან. ადგილობრივ სააგენტოებთან მომავალი კონტაქტების დასამყარებლად გაიმართება სპეციალური შეხვედრა, სადაც ქართველი და უკრაინელი ტურკომპანიების წარმომადგენლები ერთმანეთს კონტაქტებს გაუცვლიან და თანამშრომლობის პირობებს გააცნობენ“, – აღნიშნულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში. პრესტური აჭარის მთავრობისა და ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზებით მოეწყო. სტუმრები საქართველოდან 18 აპრილს გაემგზავრებიან. (ინტერპრესნიუსი)

## აძვის მოსახლეობა ტაძართან მისვლას შეძლებს



რუსეთთან ურთიერობის საკითხებში პრემიერის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის ინფორმაციით, გორის რაიონის სოფელ აძვში ქართველ მრევლს საშუალება ექნება სალოცავები მოინახულოს.

„შეხვედრაზე, ჟურნალისტების საკითხის გარდა, სხვა ჰუმანიტარულ თემებზეც იყო საუბარი. კერძოდ, მხედველობაში მაქვს ის, რაც სოფელ აძვში ხდება. ჩვენს მრევლს ექნება შესაძლებლობა, რომ იქ მოინახულოს სამლოცველოები. საუბარია წმინდა გიორგის ეკლესიაზე“, – განაცხადა აბაშიძემ. (კვირა)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# რომელ უბნებში და რა ტიპის სახლების გამაგრება იწყება თბილისში?

**თბილისში ავარიული სახლების რეაბილიტაცია იწყება. თბილისის საკრებულოს განცხადებით, ავარიულ სახლებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად თბილისის მერიის მიერ ტენდერი 2014 წლის 30 აპრილამდე გამოცხადდება. პირველ ეტაპზე სამშენებლო სამუშაოები ქალაქში არსებულ 25 ობიექტზე წარიმართება და ძირითადად ნაძალადევის, საბურთალოს, სამგორის, ისნის, მთაწმინდისა და ჩუღურეთის რაიონებს მოიცავს.**

**რა გამაგრებაზეა საუბარი, როდესაც საკრებულო აცხადებდა, რომ არაბი ინვესტორი ძველი ავარიული სახლების დანგრევასა და ახალი კორპუსების აშენებას აპირებს? მაშინ, რა საჭიროა გამაგრებაში ფულის ხარჯვა? რა თანხა დაიხარჯება გასამაგრებელ სამუშაოებზე?**

**ამ და სხვა საკითხებზე „ალიას“ ესაუბრება საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ნიკო ხაჩირიშვილი:**


ნიკო ხაჩირიშვილი

– ჩვენ გასული სექტემბრიდან გვქონდა განზრახული, რომ მრავალსართულიანი, ავარიული კორპუსების რეაბილიტაცია მოგვეხდინა, ეს ის სახლებია, რომლებიც წლების მანძილზე საჭიროებდნენ კაპიტალურ გამაგრებას და ამ მიზნით საკრებულომ თბილისის მერიას 35 მილიონი ლარი ჩავადებინეთ. ამ პროექტის მიხედვით, საერთო ჯამში, ალბათ, მოხერხდება 130-მრავალსართულიანი ავარიული კორპუსის რეაბილიტაცია. მაგრამ მათ ჩვენ ეტაპობრივად შევაკეთებთ, პირველი ტენდერი გამოცხადდა 25 კორპუსზე, რომელიც გამზადებულია სამშენებლო ტენდერისთვის. დამატებით კიდევ 57 კორპუსზეა საპროექტო სამუშაოები დამთავრებული და დაახლოებით თვე-ნახევარში იქაც გამოცხადდება სამშენებლო ტენდერი. ანუ, ორი თვის მანძილზე ერთიანობაში 76 კორპუსში დავიწყებთ სამუშაოებს. დანარჩენ 50 კორპუსებზე უკვე მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები და შემოდგომისთვის ახლა მათზე გამოცხადდება სამშენებლო ტენდერი. მთლიანობაში, ამით დაახლოებით 80 ათასი ადამიანის საბინაო პირობები გაუმჯობესდება.

**— რა ტიპის გამაგრებითი სამუშაოებია დაგეგმილი?**

– საერთოდ, საკმაოდ ბევრია თბილისში ავარიული კორპუსი ჩუღურეთში, ნაძალადევში, ძველ თბილისში. ადრე თუ გახსოვთ, მერიას ჰქონდა პროგრამა, რომელიც გულისხმობდა თანადაფინანსებას, ძირითადი თანხა აქ ამხანაგობებს უნდა გადაეხადათ. შემდეგ ეს თანხა განახევრდა და გახდა 15%. მაგრამ მთლიანობაში რეაბილიტაცია ნახევარი მილიონი ჯდებოდა და მთელი თბილისის მასშტაბით ვერავინ მანახებს კორპუსს, რომელიც შეძლებს ნახევარი მილიონის 15%-ის გადახდას. ამიტომ, სტანდარტი შევცვალეთ: ვთქვით, რომ მოსახლეობას ძალიან უჭირს თანხის გადახდა და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ხომ არ სჯობდა, საერთოდ მოგვეხსნა მოსახლეობის გადასახადი, ვგულისხმობ იმ 15%-ს: მაინც არ გროვდებოდა ეს თანხა და კანონი კი მხოლოდ ფურცელზე დაწერილი რომ არ დარჩეს, მერიამ თავიდან ბოლომდე თავის თავზე აიღო გამაგრებითი სამუშაოების წარმოება. მერიას მივეცით შესაბამისი მისამართები

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ადვოკატმა ბარბარე რაფალიანცის ოჯახს საჯაროდ საუბარი აუკრძალა



წელიწად-ნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში 10 თვის ბარბარე რაფალიანცი მარანში, წყლით სავსე ქვევრში დამხრჩვალი იპოვეს. არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებმა რამდენჯერმე საჯაროდ დადეს პირობა, რომ საქმეს სწრაფად გამოიძიებდნენ, მაგრამ შემზარავი მკვლელობის საქმე დღემდე გამოუძიებელია.

ბარბარე რაფალიანცის დეიდა, დალი მექერიშვილი ჟურნალისტებთან საუბარზე უარს ამბობს, რადგან ადვოკატმა მათ ოჯახს კომენტარების გაკეთება აუკრძალა.

ადვოკატ ლალი ბიწოშვილის განცადებით, საქმეში ახალი არაფერია.

„რამე ახალი რომ იყოს, როგორ გგონიათ, აქამდე გავჩერდებოდი და არ გავახმაურებდი? გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არც მე ვიძლევი ინფორმაციას. მოვა დრო, გამოვალ ტელევიზიით და ვიტყვი ყველაფერს“, – განაცხადა ადვოკატმა.

2012 წლის 30 სექტემბერს, არჩევნების წინა ღამით, „ქართული ოცნების“ გურჯაანის რაიონის მაჟორიტარმა კანდიდატმა მანანა ბერიკაშვილმა პირდაპირი ეთერის საშუალებით საქართველოს ამცნო სოფელ კოლაგში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ. მან მომხდარის ორგანიზებაში ყოფილი გუბერნატორი, გიორგი ღვინიაშვილი დაადანაშაულა, რომელიც 1-ლი ოქტომბრის არჩევნებში გურჯაანში კენჭს „ნაციონალური მოძრაობიდან“ იყრიდა.

„მაქვს ინფორმაცია, რომ ბარბარე რაფალიანცის საქმე გახსნილია, მაგრამ არ ახმაურებენ, რადგან „ქართულ ოცნებას“ არ აწყობს. იმიტომ არ ახმაურებენ, რომ, როგორც კი ამას იტყვიან, ის ადამიანი, ვინც მე ტრაგედიის ღამეს დამადანაშაულა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს. ქალბატონი მანანა ბერიკაშვილი, რომელიც ახლა კულტურის მინისტრის მოადგილეა, ცრუ დასმენისთვის უნდა დაისაჯოს. მე ძალიან კარგად ვიცი სისხლის სამართლის კოდექსი და ცრუ დასმენა დანაშაულია. სრულიად ნათელია, რა მოხდა ამ ღამეს, „ქართულმა ოცნებამ“ გამოიყენა ეს წინასაარჩევნოდ და ცოცხების ფონზე ამომრჩეველი ამ ტრაგედიით დამძიმებული მიიყვანა საარჩევნო ყუთებთან“, – განაცხადა ღვინიაშვილმა. (ამბები.ჯე)

## მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერად დახმარებას მიიღებენ



საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, ერთჯერადად 400 ლარი, ხოლო მეორე მსოფლიო ომში მარჩენალდაკარგულებს 200 ლარი გადაეცემათ.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გარდა თბილისში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა, ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარების გაცემის უზრუნველყოფა პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა.

რაც შეეხება თბილისში მცხოვრებ ომის ვეტერანებს, მათთვის შესაბამისი სახსრების გამოყოფა და გაცემა თბილისის მერიას ეთხოვა. (ინტერპრესნიუსი)



## როლანდ ახალაიას 10 000 ლარის გადახდა მოუწევს

თბილისის საქალაქო სასამართლომ ოპოზიციონერ დეპუტატ როლანდ ახალაიას აღმკვეთი ღონისძიების სახით 10 000-ლარიანი გირაოს გადახდა შეუფარდა. ადვოკატ რომეო საჯაიას განცხადებით, სახელმწიფო ბრალდება 50 000-ლარიან გირაოს ითხოვდა, თუმცა მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. დეპუტატმა გირაოს თანხა ერთი თვის ვადაში უნდა გადაიხადოს. ადვოკატის განმარტებით, ბრალდებული თანხას გადაიხდის. როლანდ ახალაიას ბრალი უფლებამოსილების გადამეტებაში ედება. (ფრონტნიუსი)

## ვინც ანტიდისკრიმინაციულ კანონს მხარს დაუჭერს „ანათემა“ ემუქრება



დეკანოზ დავით ისაკაძის განცხადებით, კანონპროექტზე არც ქორეპისკოპოსთან და არც უწმინდესთან ყოფილა განხილვა.

„ჩვენი შენიშვნები არ გაითვალისწინეს. მე ვარ დელეგირებული სასულიერო და საერო პირთა ძალიან დიდი ჯგუფის მიერ და ჩვენ ყველას გვაწუხებს ეს კანონპროექტი, რომელიც არის ანტიკონსტიტუციური. ამ კანონის მიხედვით გაუგებარია, რას ნიშნავს „სექსუალური ორიენტაცია“, რამეთუ გენდერული თანასწორობა განმარტებულია, როგორც ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა, ხოლო სექსუალური ორიენტაცია, როგორც ტერმინი, საერთოდ არ არსებობს. არც ერთი კანონი ამ ნორმით რეგლამენტირებული და აღიარებული არ არის, ამდენად, გაუგებარია, რას ემსახურება მისი შემოტანა. თუ ამ ტერმინის შემოტანა ევროკავშირის მოთხოვნაა, იმიტომ, რომ ჩვენ ვიზები გვქონდეს ლიბერალური, მაშინ გარწმუნებთ, სჯობია, არ გვქონდეს, ვიდრე ამან ადამიანებს შორის დაპირისპირება გამოიწვიოს და ასეთი გადახრები, როგორიც არის მამათმავლობა, დედათმავლობა, პედოფილია, ინცესტი, ერთსქესიანთა ქორწინება ნორმად ვაქციოთ. ჩვენ აუცილებლად გამოვიყენებთ ამ საშუალებას, რომ წმინდა სინოდს სასულიერო პირებმა, მრევლმა მივმართოთ, რათა მოხდეს განკანონება, ანათემირება ყველა იმ ადამიანისა, ვინც ხელს შეუწყობს საქართველოში მამათმავლობის, დედათმავლობის დაკანონებას და ნორმად ქცევას. საზოგადოების ძალიან დიდ ჯგუფს თხოვნა გვაქვს, რომ ეს ტერმინი ამოვიღოთ“, – განაცხადა დეკანოზმა. (ფრონტნიუსი)

## აშშ-მა საქართველოს 10 მილიონი დოლარის ღირებულების სამედიცინო აპარატურა და სახარჯი მასალა გადასცა



სამედიცინო ტვირთი საქართველოს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გერმანიის სამხედრო ბაზიდან მოეწოდება. აღნიშნული დახმარების სახით სამედიცინო აპარატურას და სახარჯ მასალას დამწვრობის ცენტრი, ვეტერანთა ჰოსპიტალი, რეგიონული სასწრაფოები, სასჯელაღსრულების დაწესებულებები და სხვა სამედიცინო დაწესებულებები მიიღებენ.

„ეს დიდი მოცულობის სამედიცინო აღჭურვილობისა და სახარჯი მასალის უსასყიდლოდ გადაცემაა საქართველოს ჯანდაცვის დაწესებულებებისთვის. აღნიშნული დახმარებისთვის ჩვენ მადლობელი ვართ, მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს ამბიცია, ვთქვათ, რომ ჯანდაცვის სისტემა საკმაოდ მყარად დგას ფეხზე“, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

ჯანდაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრას საქართველოში აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორლანდიც ესწრებოდა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

*მეშვიდე გვერდიდან*

შესასწავლად და ეს იყო შვება მოსახლეობისთვის. ამ მისამართების მიხედვით მერიამ გამოაცხადა ტენდერი, შემდგომში საპროექტო ტენდერმა გაიარა ექსპერტიზა, ამას დასჭირდა 4 თვე და დღეს უკვე ის



პირველი ეტაპი, რაც შეხებოდა 25 კორპუსის გამაგრებას, გამოცხადებულია. რაც შეეხება სარეაბილიტაციო სამუშაოებს: აქამდე, გამაგრება ხდებოდა ლოკალურად. ანუ თუ კორპუსი ავარიული იყო, ხდებოდა მისი დროებითი გამაგრება, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ახლა მოხდება კორპუსების კაპიტალური შეკეთება. აქ შედის ხიმინჯებიც და კარკასიც, მთლიანად ერთიანობაში გამაგრდება კორპუსი და ეს ყველაფერი ამ კორპუსებს მისცემს რესურსს, რომ წლების მანძილზე სრულყოფილად იფუნქციონირონ.

**— რა დონის ავარიული შენობებია, იმდენად ავარიული ხომ არ არის, რომ გამაგრების შემთხვევაში ჩამოიშალოს? ამ შემთხვევაში მოსახლეობას რას უპირებთ?**

– ჩამოშლა არ მოხდება, რადგანაც ტენდერში ექსპერტიზის დასკვნებია ჩადებული, სამშენებლო-საპროექტო სამუშაოების დროს ყველა სტანდარტი იქნება დაცული და მშენებლის მოვალეობა იქნება, რომ ყველა ტიპის უსაფრთხოების ნორმები იყოს დაცული. ვიმეორებ, ვპირდები თბილისელებს, რომ უსაფრთხოების ზომები მთლიანად ბოლომდე იქნება დაცული. მაგიტომ ვატარებთ ამ პრევენციას, რომ სახლები მთლიანად არ ჩამოიშალოს. თუმცა აქვე ვიტყვი, რომ ეს სახლები ძალიან რთულ მდგომარეობაშია. გპირდებით, რომ მოსახლეობა ქუჩაში არავითარ შემთხვევაში არ დარჩება და არც უნდა დარჩეს. ტენდერის გამოცხადების შემდეგ, ანუ მაისის ბოლომდე უნდა დაიწყოს ამ კონკრეტულ ობიექტებზე სამშენებლო სამუშაოები. აქვე ვიტყვი, რომ ის სტანდარტი, რაც თავმჯდომარემ და ჩვენმა კომისიამაც დღეისთვის შეიმუშავა, ადრე რომ ყოფილიყო, გაცილებით ნაკლები იქნებოდა პრობლემები, რა მოცემულობაცაა. რეალურად, ჩვენ დავიწყებთ სამუშაოებს და ვპირდებით თბილისელებს, რომ რამდენიმე თვეში ავარიული სახლების პრობლემა იქნება მინიმუმამდე დაყვანილი. მაგრამ ძალიან გთხოვთ მოსახლეობას განუმარტოთ, რომ ეს პროექტი გულისხმობს მაღალსართულიანი ავარიულ სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რაც შეეხება ძველ თბილისში არსებულ დაბალსართულიან, ორ-სამსართულიან ავარიულ სახლებს, მათზე სხვა სტრატეგია გვაქვს გათვლილი.

**— და ამ სტრატეგიას გაგვაცნობთ?**

– ამას სულ ახლო მომავალში გავაცნობთ თბილისელებს.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## საქართველოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან ვიზების გაცემაზე უარის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს



ორგანიზაციის „ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისის“ კვლევაში – „ვიზის ლიბერალიზაციის პერსპექტივები: სამოქალაქო ჩართულობა და ადვოკატირება“ კვლევების მიხედვით, საქართველოს, 2011-2013 წლებში რეგიონის ქვეყნებში (აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები და რუსეთი) ვიზების გაცემაზე უარის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს. თუმცა აღნიშნულის სტატისტიკა იკლებს. 2011 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 14.8%-ს შეადგენდა, 2012 წელს – 13.3%-ს, ხოლო 2013 წელს – 12%-ს.

2011 ევროკავშირის მიერ სულ გაცემული ვიზების საერთო ოდენობიდან საქართველოს ხვედრითი წილი 0.5%-ს შეადგენდა, 2012 წელს 0.4%-ს, ხოლო 2013 წელს ასევე 0.4%-ს. ამ მაჩვენებლით 2011, 12, 13 წლებში საქართველო ჩამორჩება უკრაინასა და ბელორუსს, ხოლო უსწრებს მოლდოვას, აზერბაიჯანსა და სომხეთს.

როგორც კვლევის ავტორები აცხადებენ, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროპულ მხარესთან თანამშრომლობით პრობლემის ეფექტური გადაჭრა და უარის მაჩვენებლის მნიშვნელოვნად შემცირება, რამდენადაც ევროკავშირი ქვეყანასთან სავიზო ურთიერთობებში უსაფრთხო (ანუ დასაშვები რისკის) მარჟად 3%-ს განიხილავს.

„მაგალითად, ბალტიის ქვეყნების „საგზაო რუკებში“ მითითებული იყო, რომ ევროკომისია ქვეყნის უვიზო რეჟიმზე გადასასვლელად მზადყოფნის შეფასებისას გაითვალისწინებდა ვიზებზე უარის მაჩვენებელს, როგორც ერთგვარ კრიტერიუმს. ამ კონტექსტში კლებადი ტენდენცია და მარჟის 3%-მდე დაყვანა (ასევე უარის სარჩო მაჩვენებლის 1000-მდე შემცირება წელიწადში) იქნებოდა მიჩნეული, როგორც დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელი“.

ამასთანავე, ევროკავშირის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, A კატეგორიის (A კატეგორიის ვიზა წარმოადგენს აეროპორტის სატრანზიტო ვიზას ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნების მოქალაქეებისთვის) მხოლოდ ერთი ვიზა გაიცა, ხოლო 2012 და 2013 წლებში ამ კატეგორიის ვიზა საქართველოში არც ერთი ქვეყნის საკონსულოს არ გაუცია.

2011-2013 წლის მონაცემებში არც ერთი B კატეგორიის (B კატეგორიის ვიზა არის სატრანზიტო ვიზა, რომელიც მის მფლობელს შენგენის ზონის გადაკვეთის უფლებას აძლევს) ვიზა არ ფიქსირდება.

რაც შეეხება **C** კატეგორიის ვიზას (ამ კატეგორიის ვიზა მოიცავს ტურისტულ და ბიზნესვიზებს და განსაზღვრულია შენგენის ზონაში მოკლევადიანი ყოფნისთვის), 2011 წელს ასეთი 56 971 ვიზა გაიცა, აქედან 14 720 (25.8%) ვიზა იყო მრავალჯერადი. 2012 და 2013 წლებში **C** კატეგორიის ვიზების რაოდენობამ იკლო. 2012 წელს 55 584 **C** კატეგორიის ვიზა გაიცა, აქედან 17 491 (31.5%) ვიზა მრავალჯერადი იყო, ხოლო 2013 წელს – 68 686, საიდანაც 25 125 (36.6%) მრავალჯერადი ვიზა იყო.

2011 წელს საქართველოს მოქალაქეებზე 64 გრძელვადიანი ვიზა გაიცა, 2012 წელს – 131 ვიზა, ხოლო 2013 წელს ამ კატეგორიის 32 ვიზა.

რაც შეეხება ვიზის ფასილიტაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოკლევადიანი ვიზების, ანუ A, B და **C** კატეგორიების საერთო ჯამს, 2011 წელს გაიცა 56 972 ვიზა, 2012 წელს – 55 584, ხოლო 2013 წელს – 68 686.

ქვეყნების მიხედვით, აღნიშნულ პერიოდში ყველაზე მეტი ვიზა საქართველოს მოქალაქეებზე გერმანიის საკონსულომ გასცა, ხოლო ყველაზე ნაკლები რაოდენობის ვიზა 2011 წელს ესტონეთის, 2012 წელს – პოლონეთის, 2013 წელს კვლავ ესტონეთის საკონსულომ გასცა. (ფრონტნიუსი)

## ქართველი ჟურნალისტები გაათავისუფლეს

ოსურმა მხარემ „**TV 3**“-ის გადამღები ჯგუფი გაათავისუფლა. საოკუპაციო ხაზთან შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, რომლებმაც მოლაპარაკებები ოსურ მხარესთან გამართეს. განთავისუფლებული ჟურნალისტები თავდაპირველად ადგილობრივი სამხარეო სამმართველოს პოლიციაში გადაიყვანეს, შემდეგ კი ოჯახებში დააბრუნეს. ჟურნალისტები თავს კარგად გრძნობენ. მათი განცხადებით, რაიმე სახის ფიზიკურ ძალადობას ადგილი არ ჰქონია.

„ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. იქ არსებული სიტუაცია საკმაოდ მძიმე იყო. ფსიქოლოგიურ ზეწოლას ჰქონდა ადგილი. იზოლატორში არაადამიანური პირობები იყო. მთელი დღის განმავლობაში სიცივისგან მაკანკალებდა. საკვები მხოლოდ დღის ბოლოს მოგვაწოდეს. ასევე იყო სხვადასხვა პირების მიერ გამოძახებები. ოთახიდან რამდენჯერმე გამოგვიყვანეს და დაკითხვას ახორციელებდნენ. რიგ შემთხვევებში იყო გასაუბრებები“, – განაცხადა ბელა ზაქაიძემ. (კვირა)

## რუსული მედია ბიძინა ივანიშვილის კრემლთან ურთიერთობით ინტერესდება



სააგენტო **politrus**-ის ცნობით, როგორც საქართველოსა და რუსეთის დიპლომატიური უწყებებიდან წყაროები იტყობინებიან, რუსეთის ლიდერის „ვიზავი“ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი იქნება.

„პუტინის განცხადების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებასთან შეხვედრისთვის მზად ყოფნის შესახებ, ამის სურვილი პრეზიდენტთან ერთად პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმაც გამოთქვა. თუმცა, საქართველოს, ფაქტობრივად, თავისი ნებით გადამდგარი ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ხელმძღვანელობს. „ქართველი მეოცნების“ ორივე პროტეჟე – მარგველაშვილიც და ღარიბაშვილიც – მხოლოდ მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამტარებლები არიან და, ფაქტობრივად, მნიშვნელობით ტოლფასნი არიან ქართულ პოლიტიკურ იერარქიაში. შესაძლოა ამიტომ გადაწყვიტეს სახელმწიფო თანამდებობების პარიტეტის გათვალისწინება და რუსულ-ქართული შეხვედრის უმაღლეს დონეზე გამართვა. თარიღი და ადგილი კვლავ უცნობია“. – წერს გამოცემა.

„რია ნოვოსტის“ ინფორმაციით კი, პრეზიდენტების შეხვედრის სამზადისი აბაშიძე-კარასინის შეხვედრაზეც განიხილეს.

აღსანიშნავია, რომ რუსული პრესის მიერ პრეზიდენტების შეხვედრასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია არ ფლობს.

**Politrus**-ი ივანიშვილის პერსონის შესახებ აღნიშნავს, რომ მისი საჯარო ურთიერთობა კრემლთან მხოლოდ აბაშიძე-კარასინის რეგულარული მოლაპარაკებებით არ შემოიფარგლება, არამედ თავის ძველ მეგობარ კირსან ილიუმჟინოვთან პირად შეხვედრებსაც მოიცავს.

კირსან ნიკოლაევიჩის თანამდებობა, გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაცია **FIDE**-ს ხელმძღვანელის პოსტი, კრემლს საშუალებას აძლევს, გამოიყენოს ვირტუოზული დიპლომატი ილიუმჟინოვი, სხვებთან ერთად, საკმაოდ საჩოთირო დავალებების შესასრულებლად. საკმარისია გავიხსენოთ მისი შეხვედრები ერაყის, ლიბიისა თუ სირიის ლიდერებთან. ამიტომ დასავლეთი, პირველ რიგში კი აშშ, ყველა ძალ-ღონეს ხმარობს, რათა ის **FIDE**-ს პრეზიდენტის პოსტზე თავისი კაცით შეცვალოს. (ნიუპოსტი)

## პირველკლასელები განახლებულ, ახალი ტიპის ბუკებს მიიღებენ



განათლების მინისტრის მოადგილის, ლია გიგაურის განცხადებით, ახალი ბუკი იქნება გაუმჯობესებული როგორც ტექნიკური პარამეტრებით, ასევე შინაარსობრივად.

„სამინისტრო მუშაობდა და მუშაობს ახალი ტიპის კომპიუტერებზე, რომელიც უნდა შევთავაზოთ მოსწავლეებს, მაგრამ ეს იქნება უფრო მაღალ კლასებში. ეს იქნება საპილოტე პროექტი“, – აღნიშნა ლია გიგაურმა და დასძინა, რომ პირველკლასელები მიიღებენ განახლებულ ბუკებს, რომელიც იქნება გაუმჯობესებული ტექნიკური პარამეტრებით, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით. (ინტერპრესნიუსი)

ყოფილი პრემიერის ყოფილი მეუღლე, ინგა პავლოვა, საფრანგეთის ნოტარიალურ არქივში დაცულ დოკუმენტებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ 1991 წელს მასზე ბიძინა ივანიშვილი იყო დაქორწინებული, ხოლო შემდეგ მისი მონაწილეობის გარეშე გააფორმა განქორწინება და დაესწროს.

„საქმე ის გახლავთ, რომ მე მხოლოდ 20 წლის შემდეგ გავიგე, რომ, როცა ბიძინა ივანიშვილი ჩემზე დაქორწინდა, უკვე იყო ქორწინებაში ეკა ხვედელიძესთან. შემთხვევით გავიგე ამის შესახებ, მაგრამ ძალიან შევშფოთდი, რადგან მე არასდროს განმავლობაში, განქორწინების შემდეგ. ამ დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ შევატყობინე რუსეთის საგადასახადო სამსახურს, მაგრამ მათ არ აღძრეს საქმე ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, რადგან მიიჩნიეს, რომ ეს არ იყო მძიმე დანაშაული“. – აცხადებს



# ინგა პავლოვა: „ივანიშვილი ერთი ძუნწი არსებაა და საქართველოსაც ისე იყენებს, როგორც მე გამომიყენა“

ამბობს, რომ ივანიშვილს საქართველოში უჩივლებს.

ინგა პავლოვას მილიარდერთან რამდენიმე პრეტენზია აქვს. მისი თქმით, ივანიშვილმა ის ცოლად შეირთო მაშინ, როცა უკვე იმყოფებოდა ქორწინებაში ეკატერინე ხვედელიძესთან, ასევე, პავლოვას განცხადებით, ბიძინა ივანიშვილმა მისი მონაწილეობის გარეშე გააფორმა განქორწინება ისე, რომ ამ პროცესში თვითონ ინგას მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო მესამე პრეტენზია უკავშირდება მოსკოვში მდებარე ბიძინა ივანიშვილის ბანკებსა და სხვადასხვა ორგანიზაციაში მისი სახელის გამოყენებას, რისი დამადასტურებელი ფაქტებიც, პავლოვას მტკიცებით, აქვს.

ინგა პავლოვამ განაცხადა, რომ ეძებს ქართველ ადვოკატს, რათა სარჩელი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ საქართველოში შეიტანოს და მისთვის მიყენებული მორალური ზიანის გამო კომპენსაცია მოითხოვოს. ის აპირებს, ახალი ზელანდიიდან საქართველოში ჩამოვიდეს და სასამართლო განხილვასაც

გავყვებოდი ბიძინას ცოლად, თუკი მეცოდინებოდა, რომ ის უკვე დაქორწინებული იყო. მე ასევე გავიგე, რომ ჩემი დოკუმენტები გამოყენებული იყო რაღაც სხვადასხვა ფირმების გასახსნელად, სადაც მე ვირიცხებოდი, როგორც დირექტორი თუ ბუღალტერი და რომ მე თითქოს ვმუშაობდი ბიძინას ბანკში 10 წლის





ინგა პავლოვა.

პავლოვა ეჭვობს, რომ განქორწინების შესახებ დოკუმენტებში, რომლებიც მას თვალითაც არ უნახავს, არის დანაშაულებრივი ნიშნები.

„ახალ ზელანდიაში ვიმყოფები და თვითონ გავგზავნი საფრანგეთში მოთხოვნას განქორწინების დოკუმენტების მიღებაზე, რათა ჩემი თვალით ვნახო, როგორ გაკეთდა განქორწინება მასში ჩემი მონაწილეობის გარეშე. ბიძინა ივანიშვილი ვალდებულია, გადამიხადოს მორალური კომპენსაცია მისი დანაშაულებრივი ქმედებების გამო“, – ამბობს ინგა პავლოვა.

ის ასევე იხსენებს, რომ რამდენჯერმე სცადა დაკავშირება ივანიშვილთან, როცა ის უკვე პრემიერ-მინისტრი იყო, მაგრამ ამ უკანასკნელმა მასთან საუბარი არ ისურვა.

„განქორწინების შემდეგ მე არ დავკავშირებივარ ბიძინას და ჩემი ცხოვრებით ვცხოვრობდი. მაგრამ როცა გავიგე, რომ ბიძინა ორცოლიანი ყოფილა და ჩემი დოკუმენტები გამოყენებული იყო მის მიერ, გადავწყვიტე, ტელეფონით დამერეკა მისთვის, როცა უკვე საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყო, რათა მიმეღო განმარტებები, მაგრამ მან განმარტებებზე უარი თქვა. მას ასევე ვთხოვე, მატერიალური დახმარება აღმოეჩინა ჩემთვის, მაგრამ ამაზეც უარი მივიღე, იმის მიუხედავად, რომ მესმოდა, თითქოს ის საქართველოში ყველას ეხმარება. მე ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილი, სინამდვილეში, ერთი ძუნწი არსებაა და ის იყენებს საქართველოს, როგორც მე გამომიყენა. მე მჭირდება ადვოკატი საქართველოში, რათა სასამართლოში სარჩელი შევიტანო. მესმის, რომ პროცესის მოგება რთული იქნება, მაგრამ მინდა ყველამ გაიგოს, ვინ არის სინამდვილეში ბიძინა ივანიშვილი. მე შეგროვილი მაქვს ყველა დოკუმენტი, რომლებიც დაამტკიცებს ჩემს სიმართლეს“, – აცხადებს ინგა პავლოვა. (აფხაზეთის ხმა)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რას ითხოვდა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება დაკავებული ქართველების სანაცვლოდ?



შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელ გოჩა რატიანის განცხადებით, ცხინვალი დაკავებული ქართველების გათავისუფლების სანაცვლოდ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ ციხეში მყოფი ყველა ეთნიკურად ოსის განთავისუფლებას მოითხოვდა.

„ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს 2012 წლის ბოლოს ორჯერ შევთავაზეთ დაკავებული პირების გაცვლა. დეკემბერში ვთავაზობდით ქართულ ციხეში მოთავსებული 10 ოსი პატიმრის გადაცემას, მათ კი უნდა გადმოეცათ საქართველოს 6 მოქალაქე, რომლებიც იმ პერიოდში იმყოფებოდნენ პატიმრობაში. 2012 წლის დეკემბერში ჩვენ შევთავაზეთ 9 პირის გადაცემა 5-ის სანაცვლოდ. მათ ორივე შეთავაზება უარყვეს. მათი მოთხოვნა იყო, რომ გადაგვეცა ყველა ეთნიკურად ოსი, რომელიც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იხდიდა სასჯელს, მათ შორის – ვალიევი, კოჩიევი და ძაცოევი, რომლებიც მძიმე მუხლებით არიან გასამართლებულები, კერძოდ, 2005 წელს გორში განხორციელებული ტერორისტული აქტის გამო, რომელსაც ქართველი სამართალდამცველების სიცოცხლე შეეწირა. ჩვენის მხრიდან ბევრი ნაბიჯი გადაიდგა, მათ შორის განხორციელდა ამნისტია, რის საფუძველზეც დე ფაქტო ცხინვალის წარმომადგენლების მიერ შედგენილი 25-კაციანი სიიდან 8 პირი განთავისუფლდა სრულიად უპირობოდ. მათ შორის იყო მარეკ დუდაევი, რომელიც ასევე მძიმე მუხლებით იხდიდა სასჯელს. საქართველოს მოქალაქეები კი მათ ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის ჰყავთ დაკავებული. შს სამინისტროსთვის ამგვარი მიდგომები მიუღებელია. ჩვენი მხრივ, ძალ-ღონეს არ ვიშურებთ იმისთვის, რომ ჩვენი მოქალაქეები საკუთარ ოჯახებს მშვიდობით დაუბრუნდნენ. რაც შეეხება მიდელაშვილს, ის 90-იან წლებში ახალგორის პოლიციაში მუშაობდა და ბრალად ადამიანის გატაცებას სდებენ. ჩვენ, რა თქმა უნდა, მივიჩნევთ, რომ ეს საქმე თეთრი ძაფით არის ნაკერი და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე ყოველ ჯერზე ვაყენებთ მის და ასევე საქართველოს დანარჩენი მოქალაქეების საკითხს. საქმის კურსში არიან საერთაშორისო ორგანიზაციები და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაც. მობილიზებულნი ვართ და ვიყენებთ ყველა შესაძლებლობას იმისთვის, რომ საქართველოს მოქალაქეები საკუთარ ოჯახებს დაუბრუნდნენ“, – განაცხადა გოჩა რატიანმა. (ფრონტნიუსი)

## უკრაინის რადამ ძალოვანი სტრუქტურების მოქმედებების მხარდასაჭერი დადგენილება მიიღო



ქვეყნის ვიცე-პრემიერის, ვიტალი იარემას განცხადებით, მიღებულია უმაღლესი რადას დადგენილება იმ ქმედებების მხარდასაჭერად, რომელიც აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოების, თავდაცვის სამინისტროსა და ყველა ძალოვანი სტრუქტურის მიერ, რაც უკავშირდება უკრაინაში წესრიგისა და უკრაინის მთლიანობის უზრუნველყოფას.

უკრაინის პარლამენტი, დადგენილების თანახმად, მიმართავს ყველა სახელმწიფო და თვითმმართველ ორგანოს, მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოუჩინოს ანტიტერორისტული ოპერაციის მონაწილეებს, რომელიც აღმოსავლეთ უკრაინაში ქვეყნის მთლიანობისა და სუვერენიტეტის დასაცავად ხორციელდება. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ჩიორა თაქთაქიშვილი: „ასეთი მდაბიო, მშიშარა და მეწვრილმანე თავმჯდომარე პარლამენტს არ ჰყოლია“



უმცირესობის წევრი, ჩიორა თაქთაქიშვილი პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ოპოზიციონერ დეპუტატ როლანდ ახალაიას მიმართ გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება. „სამწუხაროდ, არ მომიწია რიგმა და პლენარულ სხდომაზე ვერ გავეცი პასუხი დავით უსუფაშვილს. ის გამოეხმაურა ბატონი როლანდ ახალაიას ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან გამოსვლას, სადაც დეპუტატმა პარლამენტს ინფორმაცია მიაწოდა, რომ დღეს სასამართლოში პროკურატურა შევიდა შუამდგომლობით მის წინააღმდეგ აღმკვეთი ღონისძიების თაობაზე, ასევე აღწერა პროკურატურაში არსებული უმძიმესი მდგომარეობა, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა პარლამენტარების მიერ, ბაჩო ახალაიას ციხეში ყოფნა სასამართლოს განაჩენის გარეშე, პარლამენტისთვის მთავარი პროკურორის დანიშვნის უფლებამოსილების გაუქმება, პარლამენტის მიერ განსაკუთრებული სიჩქარით თანხმობის მიცემა პროკურატურისთვის დეპუტატების დევნის დაწყებასთან დაკავშირებით და მოითხოვა პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან პროკურატურის უკანონო ქმედებებზე რეაგირება. უსუფაშვილის პასუხი იყო: „არავის არ ვუსურვებ თქვენს მდგომარეობაში ყოფნას. ამის მეტს ვერაფერს ვიტყვი“. ასეთი მდაბიო, მშიშარა და მეწვრილმანე თავმჯდომარე პარლამენტს არასოდეს ჰყოლია! თუ დავით უსუფაშვილს ჰგონია, რომ ოდესმე რამეს წყვეტდა ქვეყანაში, ახლა წყვეტს ან მომავალში ექნება ამის შანსი, ძალიან ცდება! ბაჩო, დათა და როლანდ ახალაიები კიდევ რომ თავის სიტყვას იტყვიან ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და უსუფაშვილი კი ისტორიის სანაგვეს ჩაბარდება, ამაში ნამდვილად დარწმუნებული ვარ. უბრალოდ, ვისურვებდი, რომ ასეთი სამარცხვინო თავმჯდომარე აღარასოდეს ჰყოლოდეს პარლამენტს!“ – წერს თაქთაქიშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. (ფრონტნიუსი)

# რა შემთხვევაში დადგება რუსეთი კატასტროფის წინაშე?

ინტერვიუ ეკონომიკის ექსპერტ ემზარ ჯგერენაიასთან:

**— ბატონო ემზარ, როდესაც რუსეთისთვის ეკონომიკური სანქციების გამკაცრებაზეა საუბარი, ამბობენ იმასაც, რომ არანაკლები იქნება ეკონომიკური ზიანი, რომელიც ამ სანქციებით მიადგება დასავლეთს. რა ტიპის ზარალზე შეიძლება იყოს საუბარი და რამდენად იქნება იმ პოლიტიკური დივიდენდების საპირწონე, რაც მხარეებმა შეიძლება მიიღონ?**



– ამ ეტაპზე რუსეთზე ზეგავლენის მოხდენაზე არ არის საუბარი, ის სანქციები, რაც აქამდე დაწესდა, მასზე არანაირ ზეგავლენას არ ახდენს, რადგან დასავლეთის წამყვანი ქვეყნები, განსაკუთრებით გერმანია, ეკონომიკურად დამოკიდებული არიან რუსეთზე. იგივე „სიმენსს“ სერიოზული ინტერესები აქვს რუსეთში, ამიტომ ცდილობს, ზეგავლენა იქონიოს დასავლეთის ქვეყნების მთავრობებზე. რაც შეეხება სანქციების მესამე ნაწილს, თუკი მართლაც მოხდა მისი დაწესება, საეჭვოა, გერმანიამ გადალახოს ეს წინააღმდეგობა. თუ რუსეთმა გააგრძელა ის ქმედებები, რაც ბოლო ორი დღეა, მიმდინარეობს უკრაინაში და მსოფლიო იძულებული გახდა, მიიღოს სანქციების მესამე პაკეტი, ასეთ შემთხვევაში, რუსეთის ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

**— არსებობს ვარაუდები, რომ მესამე რიგის სანქციებმა შესაძლოა, რუსეთი დაშლის პირამდეც კი მიიყვანოს. ეს კი, პირველ რიგში, თვითონ დასავლეთს არ უნდა აწყობდეს...**

– ამ ეტაპზე ეს რეალური არ არის, დასავლეთს ეს არ აწყობს. რუსეთი ბირთვული იარაღის ქვეყანაა და მისი დაშლის პირამდე მიყვანა არ იქნება სწორი. მაგრამ რუსეთს უზარმაზარი პრობლემები რომ შეექმნება, ეს ცხადია. თუმცა, რუსეთი შეეცდება, დასავლეთსაც საკმაოდ დიდი ზიანი მიადგეს.

**— ითქვა ისიც, რომ სანქციები, შესაძლოა, ნელ-ნელა გამკაცრდეს და პიკს 2015-2016 წლებისთვის მიაღწიოს. რამდენად შეუძლია დასავლეთს სანქციების გამკაცრება, წავა იმაზე, რომ, მაგალითად, რუსეთს ისევე, როგორც თავის დროზე ირანს, ემბარგო დაუწესოს ნავთობპროდუქტების გატანაზე?**

– თუ მომავალი ერთი წლის პროგნოზებზეა საუბარი, ერთადერთი, აშშ-ს გადაწყვეტილება კოსმოსთან დაკავშირებული თანამშრომლობის შეწყვეტაზე არის რეალური, დანარჩენს, სერიოზულს ამ ეტაპზე ვერ ვხედავ. თუ რუსეთმა უკრაინას რეგიონები ჩამოაცილა, ამის შემდეგ სანქციებს ქმედითი ეფექტი უკვე ნამდვილად აღარ ექნება. ამ დღეებში წყდება უკრაინის სახელმწიფოებრიობის საკითხი და სწორედ ამ დღეებშია მნიშვნელოვანი და აუცილებელი ეს სანქციები, მომავალში მის დაწესებას სერიოზულად არ ვუყურებ.

**— რაც გაცხადებულია ამ ეტაპზე, საინვესტიციო პროექტების შეკვეცა მოხდა რუსეთში და აღარ ხორციელდება ინვესტიციები, ეს მეორე ტიპის სანქციების შედეგია.**

– რუს ბიზნესმენებს გაუჩნდათ შიში, რომ სერიოზული ზიანი მიადგება რუსეთს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, მთავარია დრო. უკრაინის დაშლის შემდეგ მიღებული სანქციები დაგვიანებული იქნება.

**რასაც უფრთხილდება ევროპა და ანგარიშს უწევს დასავლეთი, ეს არის რუსეთის ენერგორესურსები. იმ შემთხვევაში, თუ ამერიკა გაატარებს პოლიტიკას, რაც ნავთობზე ფასის დაცემას გამოიწვევს, რამდენად არის სავარაუდო, რომ მსოფლიომ მიიღოს ის, რაც ამ ეტაპზე სურს – რუსეთისგან უკრაინის დაცვა?**

– რუსეთის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ბარელი ნავთობის მინიმალური ფასი და ეს არის 70 აშშ დოლარი. თუ ნავთობი უფრო მეტად გაიაფდება, ბუნებრივია, რუსეთი ეკონომიკური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება, მაგრამ მეეჭვება, რომ უახლოეს ხანებში ეს განხორციელდეს, რადგან საკმაოდ დიდ დანაკარგებს მიიღებენ დასავლური ტრანსნაციონალური ნავთობკომპანიებიც.

**— ბოლო პერიოდში საუბარია ალტერნატიული ენერგოპროექტების ამოქმედებაზეც, რომელიც დასავლეთს შესაძლებლობას მისცემს, არ იყოს დამოკიდებული რუსულ ენერგორესურსებზე, საუბარია იგივე „ფიქალის“ გაზზე. რამდენად რეალურია, რომ მოკლე დროში დასავლეთმა შეძლოს ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევა?**

– უახლოეს ორ-სამ წელიწადში ამ პროექტების ამოქმედება ძალზე ძნელია. იგივე „ფიქალის“ გაზს სჭირდება ტერმინალების მშენებლობა, ინფრასტრუქტურის მოწყობა და ამას უახლოეს ორ-სამ წელიწადში ვერ განახორციელებენ. ეს არის მომავლის გეგმა, მაგრამ საუბარია იმაზე, რუსეთმა ახლა, ამ წუთას თქვას უარი უკრაინაზე.

**— ფაქტია, რომ რუსეთი რისკზე მიდის, როდესაც უკრაინის ანექსიას ცდილობს, რა პოლიტიკურ და ეკონომიკურ დივიდენდებზეა საუბარი, რუსეთს უღირს რისკის ფასად მიიღოს ეს ყველაფერი?**

– უკრაინას იგდებს ხელში და დასავლეთის ენერგობალანსის სრულ კონტროლს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, დასავლეთი კარგავს უკრაინას. რუსეთის „რისკი“ არის ის, რომ პუტინის რეიტინგი 80%-მდე გაიზარდა და დასავლეთთან როგორც დომინანტს, ისე უწევს საუბარი და სწორედ ეს არის მისი გეგმა.

**— ანუ პოლიტიკური მოტივები უფრო ამოძრავებს რუსეთს, ვიდრე ეკონომიკური?**

– ორივე და, სხვათა შორის, ეკონომიკური მოტივები ძალზე მნიშვნელოვანია რუსეთისთვის ამ ეტაპზე. როგორც ჩანს, დასავლეთი არ იყო მზად და არ ელოდა, რომ ასე შორს წავიდოდა პუტინი. როდესაც მაიდანს აწყობ და სიტუაცია ირევა, ამით პუტინი რომ ისარგებლებდა, როგორც ჩანს, ასეთი გათვლები არ იყო გაკეთებული. დღეს რუსეთი შეუზღუდავია თავის ქმედებებში და დაუჯერებელი რამ გააკეთა. როგორც ჩანს, დასავლეთმა შეცდომა დაუშვა ამ გათვლებში... (ფორ.გე)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებენ



სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი მიშელაძემ ქვეყნის მასშტაბით ახლად შექმნილ 25 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მიანიჭეს. ღონისძიებას, რომელიც გორის მუნიციპალიტეტის, სოფელ ზემო ნიქოზში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ნიქოზის“ სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე გაიმართა, შიდა ქართლის გუბერნატორი ზურაბ რუსიშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

„მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები ჩვენი მოსახლეობის ხელშეწყობა, მათ შორის, სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების მიმართულებით. „ნიქოზი“ პირველი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია, რომელიც ე.წ. „ბუფერულ ზონაში“ დაფუძნდა, მაქვს პატივი 25 სუბიექტს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი გადავცე. სიმბოლურ დატვირთვას ატარებს ის ფაქტი, რომ საზეიმო ღონისძიება იმართება შიდა ქართლში, ეგრეთწოდებულ „ბუფერულ ზონაში“, რომელიც ერთ-ერთი მდიდარი მხარეა, თუმცა არსებული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, მხარის აგრარული პოტენციალის ათვისება სრულად ვერ ხდება. რეგიონში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსხვილი ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება, რასაც აგრარულთან, ერთად სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს“, – განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

„ნიქოზი“ პირველი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია, რომელიც ეგრეთწოდებულ „ბუფერულ ზონაში“ დაფუძნდა, 10 წევრს აერთიანებს და მისი საპატიო ფონდი 60 ათასი დოლარისგან შედგება. აღნიშნული კოოპერატივის ძირითადი საქმიანობა კაკლისა და ნუშის ნერგების გამოყვანაა, თუმცა, კოოპერატივი სამომავლოდ საქმიანობის გაფართოებას გეგმავს.

უკვე დაფუძნებული 25 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის სფეროებია: მარცვლეული კულტურების წარმოება; მეფუტკრეობა; მებოსტნეობა; მევენახეობა; მეცხოველეობა; რძის გადამუშავება; სოკოს წარმოება; თხილის კულტურის მოშენება; პროდუქციის შესანახი სასაწყობე მეურნეობების მოწყობა; რეალიზაციისთვის საცალო და საბითუმო ვაჭრობის ობიექტების სადისტრიბუციო ქსელის შექმნა.

განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში დასაქმებულების უფასო სწავლება-გადამზადება და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვა პროგრამები.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით – მოგების, ქონების და საშემოსავლო გადასახადებთან დაკავშირებით. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „საზოგადოების ერთ ნაწილს რუსეთთან ურთიერთობების დალაგება, მეორეს კი კონფრონტაცია და მტრობა სურს“



აბაშიძე-კარასინის შეხვედრაზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა „**TV 3**“-ის გადამღები ჯგუფის დაკავების ფაქტზე კომენტირებისას განაცხადა, რომ მათ გაუფრთხილებლად გადაკვეთეს საზღვარი.

„ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი ფაქტები ხშირად სწორედ პრაღაში ჩვენი შეხვედრების წინ ხდება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილთან ერთად, რომელსაც უნდა ჩვენი ურთიერთობების დალაგება, არის მეორე ნაწილი, რომელსაც უნდა კონფრონტაცია, მტრობა, ქართულ საზოგადოებაში უარყოფითი მუხტის გაღვივება“, – განაცხადა კარასინმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჟურნალისტების დაკავების ფაქტზე განცხადება გაავრცელა.

„მოქმედი წესის თანახმად, დაკავებულები სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას გადაეცა. არსებული მონაცემები ადასტურებს, რომ საზღვრის დამრღვევები შეგნებულად და დემონსტრაციულად გადავიდნენ სოფელ აძვიდან, მის მიმდებარედ, სამხრეთ ოსურ დასახლებულ პუნქტში, სადაც სასაზღვრო ინფრასტრუქტურის გადაღება მოახდინეს“, – ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## მე-13 ქვეითმა ბატალიონმა ავღანეთში მისია დაიწყო



ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში, საქართველოს შეიარაღებული ძალების I ქვეითი ბრიგადის მე-13 მსუბუქი ქვეითი ბატალიონის გაძლიერებულმა ოცეულმა უფლებამოსილება გადაიბარა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ბაზა „ფენიქსზე“ გამართულ ოფიციალურ ცერემონიალს, ქართველ სამხედრო ხელმძღვანელობასთან ერთად, ამერიკელი, თურქი და ალბანელი სამხედროებიც დაესწრნენ.

„შავნაბადას“ ბატალიონის გაძლიერებული ოცეული ამერიკული სარდლობის დაქვემდებარებაში ბაზა „ფენიქსზე“ 6 თვის განმავლობაში იქნება დისლოცირებული. „ტაქტიკური დაჯგუფება ვოლუნტერის“ შემადგენლობაში მყოფი ქართველების მთავარი ამოცანა ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ქართველი ჯარისკაცების მისია ბაზის ტერიტორიის შიდა და გარე პერიმეტრების პატრულირებას, საგუშაგოების გამაგრებას, მთავარი გამშვები პუნქტის კონტროლსა და ბაზის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა დავალებებს ითვალისწინებს. პირველი ბრიგადის ოცეული ამერიკული ქვედანაყოფის სწრაფი რეაგირების საქმიანობაშიც ჩაერთვება და საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად განახორციელებს კონკრეტულ დავალებებს.

საერთაშორისო მისიაში მონაწილეობისთვის მე-13 ბატალიონის ჯარისკაცებმა ინტენსიური მომზადება ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ გაიარეს. 6-კვირიანი სპეციალური სწავლება ტაქტიკურ და საცეცხლე მომზადებას, ტოპოგრაფიას, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენასა და ნავიგაციას მოიცავდა. გაძლიერებული ოცეული ავღანეთის მისიისთვის ეროვნული სასწავლო ცენტრის ინსტრუქტორებმა მოამზადეს. (ინტერპრესნიუსი)

ვინ და რის სანაცვლოდ ლობირებდა „ნაციონალური მოძრაობიდან“ თამბაქოს მწარმოებელ კომპანიებს?

თამბაქოს კონტროლის ალიანსის თავმჯდომარის, გიორგი ბახტურიძის განცხადებით, მთავრობის ინიციატივით, თამბაქოს ბიზნესის რეგულაციის მიზნით კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი მომზადდა, რომელიც უახლოეს ხანში პარლამენტს წარედგინება. მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში მანკიერმა პრაქტიკამ უფრო სისტემური ხასიათი მიიღო - სახელმწიფოს მმართველი გუნდი, მაღალი თანამდებობის პირები და მათი ოჯახის წევრები წინა ხელისუფლების დროს უშუალოდ იყვნენ ამ ბიზნესში ჩართულები. წინა წლებში სხვადასხვა ბიზნესის დიდი ნაწილის მსგავსად, თამბაქოს ბიზნესიც აბსოლუტური კონტროლის ქვეშ იყო.

2005 წელს დარგის აბსოლუტური დერეგულაცია მოხდა. გაუქმდა და მოქმედება შეეზღუდა კანონებს. ეს ციატივით 1,5-ით შემცირდა გადასახადი, მეორე იყო ის, რომ თამბაქოს წარმოებაზეც, იმპორტსა და დისტრიბუციაზე ლიცენზირება აბსოლუტურად გაუქმდა. აღარ ხდებოდა თამბაქოს ნაწარმის კონტროლი, რამდენად შეესაბამებოდა ის სტანდარტებს - როგორც ადგილობრივი წარმოება, ისე შემოტანილი პროდუქცია. გაუქმდა მაკონტროლებელი სისტემა - სტანდარტიზაციის დეპარტამენტი. ასევე წაერთვა ფუნქცია თამბაქოსთან მიმართებაში სოფლის

მთავრობა საკანონმდებლო ცვლილების გატანას გეგმავს, რაც შესაბამისობაში მოდის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციასთან. გრძელდება მოსახლეობის ინტერესების ხარჯზე ბიზნესინტერესების დაცვა. გარდა „ნაციონალური მოძრაობის“ სრული შემადგენლობისა, ვშიშობ, უკვე შეინიშნება რამდენიმე წევრი უმრავლესობიდან, რომლებიც, ფაქტობრივად, უკვე ღიად აფიქსირებენ თავიანთ ლობისტურ დამოკიდებულებას თამბაქოს ინდუსქციებს, ვეჭვობ, რომ მათ ამაში ფინანსური დაინტერესებაც აქვთ. ისინი თამბაქოს ინდუსტრიას გაურიგდნენ და მათ საქმეს აკეთებენ. ეს ნიშნავს საბოტაჟს, თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, ეს სისხლის სამართლებრივი დანაშაულია და ეს ადამიანები საჯარო საქმიანობას უნდა ჩამოშორდნენ“.

ბახტურიძის თქმით, ამ დროისთვის კანონში არსებული ნორმები პრაქტიკაში არ ხორციელდება და არც ნორმების შესრულების

# კახა ბენდუქიძე თამბაქოს ბიზნესის სკანდალში გაეხვია


გიორგი ბახტურიძე

ველობის პერიოდში მთლიანად თამბაქოს დარგის დერეგულირება მოხდა, რადგან სახელისუფლებო რგოლი თამბაქოს მწარმოებელ და დისტრიბუტორ კომპანიებს გაურიგდა.

ალიანსის თავმჯდომარის თქმით, წინა ხელისუფლების პერიოდში სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე პირადად გაურიგდა თამბაქოს მწარმოებელ კომპანიებს. გარიგების თანახმად, ბენდუქიძემ ხელისუფლების სხვა წევრების დახმარებით და პარლამენტის ჩართულობით შეძლო დარგის რეგულაციისთვის აუცილებელი მთელი რიგი საკანონმდებლო ნორმების გაუქმება, სანაცვლოდ კი აღნიშნული კომპანიებისგან პარტიის ანგარიშზე სისტემატურად მსხვილ თანხებს რიცხავდნენ.

„ხელისუფლების მხრიდან თამბაქოს ბიზნესის გამორჩენის გზით ლობირება, სამწუხაროდ, მხოლოდ სააკაშვილის დროს არ ყოფილა. ეს იყო შევარდნაძის დროსაც, მაგრამ ამ იყო ლიცენზიის შესახებ კანონი, მოქმედებაში არ მოვიდა თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონი და ასე შემდეგ. ამ ყველაფერს ხელი შეუწყო უშუალოდ სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ. მან, სხვა ბევრი დარგის მსგავსად, თამბაქოს დარგის დერეგულაცია მოახდინა. წინა ხელისუფლების პოლიტიკური ჯგუფი გარიგებაში შევიდა მაშინდელ ბიზნესმენებთან, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მაშინდელი მწარმოებელი საქართველოს თამბაქოს წარმოება იყო. შემომტანები კიდევ იყვნენ: ბრიტანულ-ამერიკული თამბაქოს კომპანია „ფილიპ მორისი“ და ასე შემდეგ.

ბენდუქიძე მოელაპარაკა მათ, რომ ის გააუქმებდა ყველა კანონს და ამის სანაცვლოდ პარტიას მათგან საკმაოდ დიდი ფინანსური წახალისება უნდა მიეღო. ასეც მოხდა. პარტია ამაში დიდ თანხებს სისტემატურად იღებდა“, – განაცხადა ბახტურიძემ.

„2006 წელს ხელისუფლების ინიმეურნეობის სამინისტროს. გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც ორიენტირებული იყო, რეკლამის აკრძალვის კუთხით დაეცვა კანონი და აღმოეჩინა სამართალდარღვევები. ამისთვის მწარმოებელი და დისტრიბოტორი კომპანიებისგან საკმაოდ სერიოზულ თანხას იღებდა მმართველი პარტია, უმეტესად კი - თბილისის მერია. ხდებოდა პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ ფინანსური უზრუნველყოფა სხვადასხვა შემოწირულობის სახით. ამის შემდეგ მოხდა ისიც, რომ თამბაქოს ბიზნესწილები გასხვისდა „ნაციონალური მოძრაობის“ მაღალი თანამდებობის ოჯახის წევრებზე, ამ ბიზნესში მაშინდელი პრემიერის ნიკა გილაურის, საპარლამენტო მდივნის გია ხუროშვილის ოჯახის წევრები იყვნენ ჩართულები. გილაურის პირადი წარმომადგენელი ნიკოლოზ მჭედლიშვილი ჯანდაცვის სამინისტროში იჯდა და პირადად აკონტროლებდა თამბაქოსთან მიმართებაში მომზადებულ ყველა საკანონმდებლო ინიციატივას. დღეს ეს პირი იაპონური თამბაქოს მწარმოებელს წარმოადგენს“. – აცხადებს გიორგი ბახტურიძე.

ბახტურიძის თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს თამბაქოს ბიზნესში დღემდე საკუთარი ბიზნესინტერესები აქვთ და მთელი რიგი ცვლილებების მიღებას ხშირად ეკონომიკისა და ჯანდაცვის სამინისტროში ამ დრომდე არსებული თავიანთი კადრებით ახერხებენ. თუმცა მათ გარდა, აღნიშნულ ბიზნესს მფარველები უკვე საპარლამენტო უმრავლესობაშიც გამოუჩნდა: „ნაციონალების“ მხრიდან, ალბათ, პარლამენტში სერიოზული წინააღმდეგობა და დებატები იქნება, რადგან



ტრიის მიმართ. საკანონმდებლო ცვლილებების წარდგენისას ყველა ამ პირის ლუსტრაცია მოხდება. ჯანდაცვისა და ეკონომიკის სამინისტროში, დეპარტამენტების ხელმძღვანელების დონეზე, წინა მთავრობიდან არის რამდენიმე ჩინოვნიკი, რომლებიც დღემდე იცავენ ბიზნესინტერესებს და მთელ რიგ ინიციატივებს ბლოკავენ. ჯანდაცვის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში არიან პირები, რომლებიც ოჯახებით არიან ჩართული თამბაქოს ბიზნესში და სხვადასხვა თამბაქოს მწარმოებელი კომპანიისგან იღებენ ინსტრუკონტროლის მექანიზმი არსებობს. მისი აზრით, ახალი რეგულაციებით, შენობა-ნაგებობები თამბაქოს კვამლისგან უნდა განთავისუფლდეს. მათ შორისაა საზოგადოებრივი თავშეყრის ისეთი ადგილები, როგორიცაა: რესტორნები, ბარები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

ბახტურიძის განმარტებით, დღეის მდგომარეობით, კანონში შეზღუდვის რეჟიმი გვაქვს, მაგრამ ამ ნორმებს არათუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, არამედ საჯარო დაწესებულებებშიც კი არ იცავენ. (კვირა.გე)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გედევან ფოფხაძე: „გიჟი ვარ, ეკლესიას დავუპირისპირდე?“



პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გედევან ფოფხაძის თქმით, თუ სინოდი იტყვის, ის ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს მხარს არ დაუჭერს.

„თუ სინოდი იტყვის, არ დაუჭიროთ მხარიო, მე მრევლი ვარ და ნამდვილად არ ვაპირებ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან კონფლიქტში შევიდე იმის გამო, რომ ასეთი რედაქცია იყოს. არ დავუჭერ, მე რა ძალა მადგას? გიჟი ვარ, მართლმადიდებლურ ეკლესიას დავუპირისპირდე?“

ფოფხაძის აზრით, მნიშვნელობა არ აქვს, კანონპროექტში ჩაიწერება თუ არა ტერმინი „სექსუალური უმცირესობა“, რადგან სამართლებრივად კანონი მათ მაინც შეეხება.

„პრინციპი არის ასეთი, რაღაც ტიპის განსხვავებულობის გამო, რომ ვინმე სხვანაირად მოგექცევა და განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში ჩაგაყენებს, შენ ავტომატურად ეს კანონი გეხება, რადგან დისკრიმინაციის ქვეშ ექცევი. მიმაჩნია, რომ ანტიდისკრიმინაციული ხედვა მართლმადიდებლური მსოფლმხედველობაა. გარდა იმისა, რომ მართლმადიდებლობა ჩემი რწმენაა, ასევე, არის მსოფლმხედველობა და არ მიმაჩნია, რომ დისკრიმინაცია რაიმე ფორმით იყოს გამართლებული. ეს სწორედ მართლმადიდებლური მსოფლმხედველობისა და ღირებულებების გამოხატულებაა“, – აცხადებს ფოფხაძე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## გრიგორი კარასინი: „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის“ გაუქმება ჩვენი ტურისტების რიცხვს გაზრდიდა“



როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გრიგორი კარასინმა განაცხადა, დიპლომატიური ურთიერთობების არქონის პირობებში, რუსეთი საქართველოსთან სავიზო რეჟიმს ვერ გააუქმებს.

„ტრადიციულად, ვიზების საკითხი მწვავედ დგას, რადგან, როგორც ცნობილია, 2008 წლის აგვისტოში, მიხეილ სააკაშვილმა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა. დღეს კი ასეთი ვითარებაა – დიპლომატიური ურთიერთობების არქონის პირობებში, საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზების სრული ლიბერალიზაცია ნაადრევია. თუმცა, ჩვენ ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში, მნიშვნელოვნად გავაფართოვეთ იმ პირთა კატეგორია, რომლებიც რუსულ ვიზებს იღებენ“, – აღნიშნა კარასინმა. მისი ინფორმაციით, 2013 წელს საქართველოს 25 ათას მოქალაქეს მისცეს რუსეთის ვიზა, რაც 40%-ით მეტია 2012 წლის მაჩვენებელზე.

ამასთანავე, როგორც გრიგორი კარასინმა აღნიშნა, რუსეთის საგარეო უწყება ჯერ ვერ შეძლებს, გააუქმოს რეკომენდაციები საკუთარი მოქალაქეებისთვის, რომელიც გულისხმობს, თავი შეიკავონ საქართველოში გამგზავრებისგან, რაც საქართველოს მიერ მიღებულ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონს უკავშირდება.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თქმით, ზურაბ აბაშიძესთან შეხვედრაზე საუბარი შეეხო ტურიზმის საკითხსაც.

„ჩვენ იძულებულები ვიყავით, აღგვენიშნა, რომ მიუხედავად საქართველოში რუსი ტურისტების რიცხვის გაზრდისა, რჩება დაბრკოლებები „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის“ გამო. ამ კანონის გაუქმება, რა თქმა უნდა, ჩვენი ტურისტების რაოდენობას საქართველოში მნიშვნელოვნად გაზრდიდა“, – განაცხადა კარასინმა.

გრიგორი კარასინისა და ზურაბ აბაშიძის შეხვედრის მომდევნო რაუნდი ივლისში გაიმართება. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK


რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

## დიმიტრი შაშკინი „პატრიოტის აქტის“ გამოცემას ითხოვს და სამთავრობო უწყებებს რეკომენდაციებს აძლევს



განათლების ყოფილი მინისტრის, დიმიტრი შაშკინის აზრით, არის რამდენიმე ნაბიჯი, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიდგას, რომ რუსეთიდან მოსალოდნელი საფრთხე მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.

„უკრაინაში რუსეთის აგრესიის ფონზე და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის გამო, ხელისუფლების მხრიდან სულ უფრო და უფრო გვესმის საუბარი რუსეთის შესაძლო აგრესიასა და ზეწოლაზე. ეს საფრთხე რეალურია, მაგრამ კონკრეტული პრევენციული ნაბიჯების ნაცვლად, ქვეყანაში ხელისუფლების მხრიდან ხდება კოლაბორაციონიზმის პროპაგანდა. ტენდენცია აშკარაა და მოსახლეობას არწმუნებენ, რომ მოსალოდნელი საფრთხეების საწინააღმდეგოდ ხელისუფლებას მხოლოდ შეუძლია რუსეთი არ გააღიზიანოს და მას მოეფეროს. ეს არის მტკნარი სიცრუე. ჯერ კიდევ უინსტონ ჩერჩილს უთქვამს, რომ რუსეთი პატივს სცემს მხოლოდ ძალას და დამცირებასა და ომს შორის თუ აირჩევთ დამცირებას, ყოველთვის მიიღებთ ომს.

კოლაბორაციონიზმს ჩვენი ქვეყნისთვის კარგი არასდროს არაფერი მოუტანია. იმისთვის, რომ არ განმეორდეს 1921 წლის ტრაგედია, საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს „პატრიოტის აქტი“ (ანალოგიური იმისა, რაც მიიღეს აშშ-ში 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ), რომლითაც:

1. რუსეთის ოკუპაციის უარყოფა დაისჯება სისხლის სამართლის კოდექსით; ქვეყნის მასშტაბით აიკრძალება რუსეთის ფედერაციის სიმბოლიკის გამოყენება და დარღვევის შემთხვევაში დაწესდება მაღალი საჯარიმო სანქციები; აიკრძალება იმ პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირება, რომლებიც ითხოვენ ევრაზიულ კავშირში შესვლას ან უარყოფენ რუსეთის ოკუპაციას; სატელევიზიო პროვაიდერებს დაევალებათ რუსეთის ტელეარხების პოლიტიკური გადაცემების ეთერიდან გათიშვა.

თავდაცვის სამინისტრომ უნდა განახორციელოს შემდეგი: განაახლოს თბილისის თავდაცვის წრის მშენებლობა; განაახლოს სამხედრო რეზერვის მომზადების პროგრამა; განაახლოს მოლაპარაკებები ამერიკის შეერთებულ შტატებთან ანტისაჰაერო თავდაცვის სისტემის „**Hawk**“-ის საქართველოსთვის გადმოცემის თაობაზე.

განათლების სამინისტრომ: აღადგინოს სომხურენოვან სკოლებში სომხური სახელმძღვანელოების შემოტანაზე 2010 წლის აკრძალვა; სრული მასშტაბით აამუშაოს ქართული ენის სწავლების პროგრამა სამცხე-ჯავახეთში; აღადგინოს ამერიკელი და ევროპელი მასწავლებლების საქართველოში ჩამოყვანის პროგრამა 2012 წლის მსგავსად (1500 მასწავლებელი და არა 60, როგორც დღესაა).

საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი უნდა შეწყვიტოს კოლაბორაციონიზმის პოლიტიკა და რეაგირება მოახდინოს რუსეთის მხრიდან განხორციელებულ ყველა აგრესიულ ნაბიჯზე, იქნება ეს საჰაერო სივრცის დარღვევა, ჩვენი მოქალაქეების გატაცება თუ ბორდერიზაცია. საქართველოს პრობლემები უნდა იყოს ყველა საერთაშორისო ფორუმისა და ორგანიზაციის დღის წესრიგში“, – ნათქვამია შაშკინის წერილში. (ნიუპოსტი)

## საქართველო-სომხეთს შორის 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი აშენდება




16 აპრილს ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, 400 კვ ხაზი, უფრო მძლავრი, 500 კვ გადამცემი ხაზით შეიცვლება. დოკუმენტის თანახმად, სომხეთის მხრიდან ხაზზე ძვირადღირებული, თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მოწყობილობა დაყენდება – ორი, 350 მეგავატის სიმძლავრის მუდმივი დენის ჩანართი, რომლის პირველი ნაწილის დამონტაჟება 2018 წლისთვისაა დაგეგმილი, ხოლო მეორე ნაწილის – 2022 წლისთვის, რაც კიდევ უფრო გაზრდის საქართველო-სომხეთს შორის ელექტროენერგიის გადადინების მოცულობასა და ენერგოუსაფრთხოების ხარისხს.

საქართველოს მხრიდან შესასრულებელი დარჩა 500-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის დაახლოებით 40 კმ-იანი მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები. სომხურ მხარეს კი სამუშაოთა გაცილებით დიდი სეგმენტი აქვს განსახორციელებელი, რისთვისაც განზრახული აქვთ გერმანული ბანკის **KfW**-ს საკრედიტო რესურსებისა და საერთაშორისო კონსულტანტების მხარდაჭერის გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ სომხეთის მუდმივი დენის ჩანართები, ახალციხის ქვესადგურის შემდეგ, მეორე მაღალტექნოლოგიური კვანძი გახდება კავკასიაში. (პირველი)

## რა პრობლემები ექმნებათ მოქალაქეებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკონსულოებში?



როგორც „ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისის“ კვლევაში „ვიზის ლიბერალიზაციის პერსპექტივები: სამოქალაქო ჩართულობა და ადვოკატირება“ არის აღნიშნული, ზაფხულის პერიოდში საკონსულოების უმრავლესობაში ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხია რიგები, როგორც სავიზო განაცხადის შეტანისას, ისე პასპორტის გამოტანისას. კვლევის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ 12 საკონსულოდან 10-ში მოქმედებს წინასწარი რეგისტრაციის სისტემა, ადგილზე მისულ მოქალაქეებს მინიმუმ ერთი საათი მაინც უწევთ რიგში დგომა და ლოდინი. ასევე, ვიზების გატანისას ყველა საკონსულოში არის ცოცხალი რიგი.

2013 წლის ივლის-აგვისტოს პერიოდში ჩატარებული დაკვირვებისას გაირკვა, რომ სავიზო განაცხადის შეტანისთვის მოლოდინის პერიოდი 2-დან 9 კვირამდე მერყეობს. თუმცა, განმეორებითი კვლევის შედეგები იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ეს უფრო სეზონური ხასიათის პრობლემაა და განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში იჩენს თავს, როცა საგრძნობლად იზრდება ვიზაზე განმცხადებლის რაოდენობა.

კვლევის თანახმად, კვლავ პრობლემად რჩება მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა – საკონსულოების უმრავლესობაში არ არის მოსაცდელები და სკამები.

„მოქალაქეებს ღია ცის ქვეშ საათობით უწევთ ფეხზე დგომა და ლოდინი. ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს იტალიისა და ნიდერლანდების სავიზო მომსახურების ცენტრები, სადაც შექმნილია ყველანაირი პირობა კომფორტული მომსახურებისთვის“, – აღნიშნულია კვლევაში.

ამავე საკონსულოების უმრავლესობა ვიზის გაცემის პროცედურების შესახებ დეტალურ ინფორმაციას არ გასცემს. მხოლოდ ბულგარეთის, რუმინეთისა და ესტონეთის საკონსულოების, ასევე იტალიის სავიზო მომსახურების ცენტრის შემთხვევაში იყო შესაძლებელი ტელეფონის მეშვეობით ვიზების გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება. როგორც წესი, ოპერატორები დაინტერესებულ მოქალაქეებს ურჩევენ, ესტუმრონ საელჩოს ოფიციალურ ვებგვერდს ან პირადად მიაკითხონ შესაბამის საკონსულოს. შვედეთისა და უნგრეთის საკონსულოების შემთხვევაში გადამისამართება ხდება ლატვიის საკონსულოში. სატელეფონო კომუნიკაციისას ადმინისტრაციული პერსონალის თავაზიანობის ხარისხი კი მეტწილად მაღალია. რაც შეეხება კომუნიკაციის ენას, პოლონეთის საკონსულოში ეს არის რუსული, ლატვიის საკონსულოში – ინგლისური, ხოლო რუმინეთის საკონსულოს შემთხვევაში – რუსული და ინგლისური, დანარჩენ საკონსულოებში კი – ქართული. (ინტერპრესნიუსი)

## მამაკაცმა ქუჩაში ვენები გადაიჭრა



ქუთაისში ჭავჭავაძის გამზირზე „გრანდ მოლის“ მიმდებარე ტერიტორიასთან ახალგაზრდა მამაკაცმა ვენები გადაიჭრა, თვითმხილველების ინფორმაციით, მამაკაცს თავის მოკვლა სურდა. დაზარალებული თვითმკვლელობის მიზეზად ტოტალიზატორში მოგებულ თანხას ასახელებდა, რომელიც ადმინისტრაციამ მიზნობრივად დაუკავა. ადგილზე იმყოფებოდა სამართალდამცველების რამდენიმე ეკიპაჟი და სასწრაფო დახმარების ბრიგადა.

ახალგაზრდა მამაკაცი მძიმე მდგომარეობით ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, ამ დროისთვის მისი მდგომარეობა სტაბილურია და ექიმების დაკვირვების ქვეშ იმყოფება. (ნიუპოსტი)

## დავით ნარმანია თბილისის პარკებსა და საავადმყოფოების ეზოებში გაჩაღებული მშენებლობებით შეშფოთებულია



კოალიცია „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი დავით ნარმანია „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის“ სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს საჯარო დებატებზე სიტყვით გამოვიდა. დებატების თემა „ქალაქგანვითარების მწვანე განზომილება“ იყო.

მერობის კანდიდატმა შეშფოთება გამოხატა თბილისის პარკებსა და სკვერებში მწვანე ნარგავების განადგურებისა და გაუგებარი ნებართვების საფუძველზე დაწყებული მშენებლობების გამო, რაც, მისი თქმით, მხოლოდ კერძო ინტერესებს ემსახურება. რაც შეეხება საავადმყოფოების ტერიტორიებს, ნარმანიას თქმით, ისინი, უბრალოდ დატაცებულია და სამშენებლო ობიექტებადაა გადაქცეული. მან მაგალითად მოიყვანა ყოფილი ფსიქიატრიული და ინფექციური საავადმყოფოების, ასევე ფიზიკის ინსტიტუტის ეზოები.

ნარმანიას განცხადებით, მძიმე მდგომარეობაა შექმნილი თბილისის სატყეო მეურნეობის ფონდში არსებულ ფართობებთან დაკავშირებით. დედაქალაქის მერობის კანდიდატმა საკუთარი ხედვა წარმოადგინა ქალაქში არსებული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარებაზე, რეკრეაციული ზონების გამოყოფა-მოვლაზე, მდინარეების დასუფთავებაზე, ქარსაცავი ზოლების შექმნაზე, სასმელი წყლისა და მდინარეების მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, ნაგავსაყრელებზე არსებულ ვითარებაზე და ვრცლად ისაუბრა პრობლემების გადაჭრის გზებზე. (ინტერპრესნიუსი)

## კულტურის სამინისტროში გაცემული ხელფასებისა და პრემიების შესახებ კვლევა ჩატარდა



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მუშაობის პერიოდში მიღებული შემოსავლების მოცულობების დასადგენად, არასამთავრობო ორგანიზაციამ „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“, ყოფილი და ამჟამინდელი მაღალი თანამდებობების პირების შემოსავლების შესახებ ფართომასშტაბიანი კვლევა დაიწყო.

კვლევამ გამოავლინა, რომ 2008-2013 წლებში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მინისტრებზე, მინისტრის მოადგილეებსა და დეპარტამენტის უფროსებზე ხელფასის, პრემიისა და დანამატის სახით გაიცა 3 583 355 ლარი, საიდანაც ხელზე გაცემულია 2 866 684 ლარი.

მინისტრების წლიური შემოსავლები 70 000 ლარიდან 121 000 ლარამდე მერყეობს. მაღალი თანამდებობის პირების ყოველთვიური შემოსავლები 2-3-ჯერ აღემატება ხელფასის ოდენობას. (ინტერპრესნიუსი)

## ხურჩიდან გატაცებულ მამაკაცს, სავარაუდოდ, დღეს გაათავისუფლებენ




ზუგდიდს რაიონის სოფელ ხურჩიდან გატაცებულის დის, ტაველა ბერიას განცხადებით, საოკუპაციო რეჟიმს ე.წ. ჯარიმის სახით 10 ათასი რუსული რუბლი გადაუხადეს.

ტარიელ ბერია თანასოფლელ გელა თორიასთან ერთად 8 აპრილს მაშინ დააკავეს, როცა სოფელ ხურჩაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს აწარმოებდა. მოგვიანებით გელა თორია 500 ლარის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. ბერიას ოჯახმა კი თანხის შეგროვება ამ დრომდე ვერ შეძლო.

დაკავებულის ოჯახის მტკიცებით, მას საზღვარი არ გადაუკვეთავს და რუსი სამხედროები ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე თავად გადმოვიდნენ. (პირველი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



1. გემის ფანჯარა
2. კუნძული პარიზში
3. მღვდლის სამოსის დეტალი
4. „იყო ... როსტევან“
5. ირლანდიის დედაქალაქი
6. შტატი აშშ-ში ...-აილენდი
7. მსახიობი ... ჩელენტანო
8. ზღვის ცხოველი წვეტიანი ცხვირით
9. ნავთობსაზიდი გემი
10. კომპოზიტორი ... პაულსი
11. რაჯას მეუღლის ტიტული
12. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
13. წყობა სიმაღლის მიხედვით
14. ხელოვნური მზის სხივების აბაზანა
15. „ბერნარდა ... სახლი“
16. ტენორი ... ლანცა
17. ალექსანდრე ...
18. ბოსტნეული
19. ვაგონებიანი შემადგენლობა
20. ამოუცნობი მფრინავი ობიექტი, ანუ ...
21. დათვის ნაშიერი
22. მსახიობი სოფი ...
23. ფრანგული ნამცხვარი
24. ნეპალის დედაქალაქი
25. რობინ უილიამსი ფილმში „მისის ...“
26. იაპონური ჯუჯა ხე
27. მუსიკოსი ... გილელსი
28. ხერხემლის გაღუნვა წინისკენ
29. გულიანი კანფეტი
30. მუზეუმი მადრიდში
31. ბულგაკოვი. „... და მარგარიტა“
32. მსახიობი კოლინ ...
33. ფრედი მერკურის ანსამბლი
34. ვარსკვლავის წვეტი
35. ხის ტოტი
36. ჯუზეპე ვერდის ოპერა
37. მომღერალი ბრიტნი ...
38. საქმეში ჩადებული წილი
39. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
40. ერთი ეკლესიის მომლოცველები
41. ჟამი
42. მსახიობი ... პაჩინო
43. ქორეოგრაფიული ხელოვნ.
44. თამადა (ძვ.)
45. პარაზიტი მკბენარი
46. მსახიობი ... კვირიკაშვილი
47. ფრანგი წინასწარმეტყველი
48. ბოსტნეული
49. ტყის სული წვეტიანი ყურებით
50. მსახიობი ჯორჯ ...
51. მეკობრე
52. ჭიდაობას რა ...
53. თეთრი მინერალი. წერენ დაფაზე
54. ღვინო „თელიანი ...“
55. ცისარტყელას ფერი
56. საჩუქარი, ძღვენი (ძვ.)
57. შხამიანი გველი
58. საჭმელი ბავშვის ენაზე
59. წიაღისეული საწვავი
60. კომპოზიტორი ... კალმანი
61. ქალაქი სამეგრელოში
62. „ბოლერო“. კომპოზიტორი
63. მან შეისწავლა რეფლექსები
64. მსახიობი ... ხვიჩია
65. ინგლისური ლუდი
66. საომარი ნადავლი
67. ... ურჩევნია მამულსა
68. კურორტი ბულგარეთში
69. კახური ტკბილი პური
70. მეტიჩარა, მატრაკვეცა
71. უბანი თბილისში
72. ადრეული ხილი
73. იგივეა, რაც კარტი
74. სიახლის შემომტანი
75. მსახიობი რობინ ... პენი
76. იტალიაში: ბენიტო ...
77. გულმკერდის ძვალი
78. მხ/ფ „მზიური ... სერენადა“
79. წვიმისგან დამცავი აქსესუარი
80. ტროას გმირი
81. იგავური თხრობის სტილი
82. 3,14
83. მეკარე ... იაშინი
84. პოეტი ... მირცხულავა
85. ბაზრობა თბილისთან
86. დოსტოევსკის რომანი
87. მსახიობი ვივიენ ...
88. გოგონათა ქართ. ხალხური ცეკვა
89. ცურვის სტილი
90. სახელმწიფო აფრიკაში
91. ქალი, დიაცი
92. მამალი ცხვარი
93. სისხლძარღვი
94. მსახიობი ბრედ ...
95. მოგზაური ... პოლო
96. ლონდონის საქმიანი ცენტრი
97. გერმანიის დედაქალაქი
98. „ღიმილის ბიჭები“ პერსონაჟი
99. მარიო პიუზოს ნაწარმოები
100. ... წავა და სხვამოვა
101. ... მტრობას დაუნგრევია
102. კუტიურიე ჯორჯო ...
103. არჩევნებში არმონაწილეობა
104. მსახიობი ... პელტროუ
105. „მე ... ქართველი ვარ“
106. მსახიობი ჰოლი ...
107. განგაშის მაუწყებ. ხმა
108. მეკარე ივიცა ...
109. აქ გამოდის კლოუნი
110. სამკურნალო მცენარე
111. სახელმწიფო აზიაში. დედაქალაქია დამასკი
112. ავსტრიის დედაქალაქი
113. ზღვის ქვიშიანი სანაპირო
114. ვეტერინარი (ძვ.)
115. კონად შეკრული თავთავები
116. გადაშენებული ფრინველი
117. მცენარე. ხდიან ტეკილას
118. შინაური ფრინველი
119. ტიბეტური ხარი
120. ტელეკომპი
121. დიდი კაშკაშა მეტეორი
122. სოფლის ტრანსპორტი
123. ნიგვზის სანებელი
124. მსახიობი ... ბელუჩი
125. კლავიშებიანი ინსტრუმენტი
126. რომაელი იმპერატორი
127. მსახიობი ... თურმანი
128. ქვეყნიერება, ანუ ...
129. უნივერსიტეტი „...-მატერი“
130. ჯამის ფორმის სასმისი
131. გაერთიანება, კავშირი
132. რომის საფეხბ. კლუბი
133. ლეშისმჭამელი ფრინველი
134. სურათი-პლაკატი
135. მსახიობი ... სხირტლაძე
136. პერსონა ...-გრატა
137. მხატვარი ... გრეკო
138. „ვწერ ვინმე ... მელექსე“
139. კერკ დუგლასი ფილმში
140. თევზი ელექტრ. მუხტით
141. ერთყურიანი სათვალე
142. ნამი
143. პორტი, ანუ ...
144. რეჟისორი ... შახნაზაროვი
145. სამხედრო ხროვა (პოლიტ.)
146. ქალაქი იტალიაში
147. ფილმი ამერიკის ველურ დასავლეთ.
148. იტალიის დედაქალაქი
149. თანხმობის ფორმა
150. სოუსი დაჭრილი ბოსტნეულისათვის
151. კაის მეგობარი გოგონა
152. საგალობელი „...-მარია“
153. ბედი
154. ოქროს ძაფი
155. ... ძედუნი
156. წინაღობის შებრუნ. სიდიდე
157. მსახიობი ... ჩახავა
158. გამჭოლი ქარი







პასუხები: 1. ილუმინატორი; 2. სიტე; 3. ოლარი; 4. არაბეთს; 5. დუბლინი; 6. როდ; 7. ადრიანო; 8. ნარვალი; 9. ტანკერი; 10. რაიმონდ; 11. რანი; 12. სირ; 13. რანჟირი; 14. სოლარიუმი; 15. ალბას; 16. მარიო; 17. მაკედონელი; 18. კომბოსტო; 19. მატარებელი; 20. ამო; 21. ბელი; 22. ლორენი; 23. კრუასანი; 24. კატმანდუ; 25. დაუტფაიერი; 26. ბონსაი; 27. ემილ; 28. ლორდოზი; 29. კარამელი; 30. პრადო; 31. ოსტატი; 32. ფარელი; 33. „ქვინი“; 34. ქიმი; 35. რტო; 36. „ნაბუქო“; 37. სპირსი; 38. პაი; 39. ორანგუტანგი; 40. მრევლი; 41. დრო; 42. ალ; 43. ბალეტი; 44. ტოლუმბაში; 45. ტკიპა; 46. მზია; 47. ნოსტრადამუსი; 48. სატაცური; 49. ელფი; 50. კლუნი; 51. პირატი; 52. უნდა; 53. ცარცი; 54. ველი; 55. იისფერი; 56. ფეშქაში; 57. ეფა; 58. ფია; 59. ქვანახშირი; 60. იმრე; 61. ხობი; 62. რაველი; 63. პავლოვი; 64. იპოლიტე; 65. ელი; 66. ალაფი; 67. ის; 68. ვარნა; 69. ნაზუქი; 70. მატრაბაზი; 71. ორხევი; 72. ალუბალი; 73. ბანქო; 74. ნოვატორი; 75. რაიტ; 76. მუსოლინი; 77. ლავიწი; 78. ველის; 79. ქოლგა; 80. აქილევსი; 81. ალეგორია; 82. პი; 83. ლევ; 84. ალიო; 85. ლილო; 86. „იდიოტი“; 87. ლი; 88. „სამაია“; 89. ბრასი; 90. ტუნისი; 91. ასული; 92. ერკემალი; 93. არტერია; 94. პიტი; 95. მარკო; 96. სიტი; 97. ბერლინი; 98. ბოლოკა; 99. „ნათლია“; 100. იგი; 101. რაც; 102. არმანი; 103. ბოიკოტი; 104. გვინეტ; 105. პატარა; 106. ბერი; 107. სირენა; 108. კრალი; 109. ცირკი; 110. ასკილი; 111. სირია; 112. ვენა; 113. პლაჟი; 114. ბეითალი; 115. ძნა; 116. მოა; 117. აგავა; 118. მამალი; 119. იაკი; 120. ანძა; 121. ბოლიდი; 122. ურემი; 123. ბაჟე; 124. მონიკა; 125. პიანინო; 126. ნერონი; 127. უმა; 128. დუნია; 129. ალმა; 130. ფიალა; 131. უნია; 132. „ლაციო“; 133. სვავი; 134. პოსტერი; 135. დუტა; 136. ნონ; 137. ელ; 138. მესხი; 139. „სპარტაკი“; 140. სკატი; 141. ლორნეტი; 142. ცვარი; 143. ნავსადგური; 144. კარენ; 145. ხუნტა; 146. პადუა; 147. ვესტერნი; 148. რომი; 149. კი; 150. მაიონეზი; 151. გერდა; 152. ავე; 153. სვე; 154. სირმა; 155. მაო; 156. მო; 157. მედეა; 158. ორპირი.

# სკანვორდი

ავტორი ლალი ზანდუკელი 2 23-11-28



1. წყალში ხსნადი საღებავები
2. ცნობ. იტალიელი საფეხბ. მსაჯი
3. მახვილის ნიშანი სიტყვაში
4. ჩე გევარას სახელი
5. პოლიციელის ჩინი საფრანგეთში
6. იგივეა, რაც მთამსვლელი
7. ძაღლის ჯიში
8. შვილის ან ძმის ცოლი
9. დეკორატიული ხვიარა მცენარე
10. მცურავი ყინულის მთა
11. ყველაზე მსხვილი არტერია
12. კალათბურთის „დაფა“
13. მოკლე სატირული ლექსი
14. უდაბნო ჩილეში
15. დიდი ფორმატის სქელი წიგნი
16. ინდური წვრილცხვირა ნიანგი
17. კარდინალთა საბჭო
18. პორტუგალიური ფეხბურთის ექსვარსკვლავი
19. ტროპიკული ხილი
20. ბებერი მგელი ვაჟას მოთხრობაში
21. მომკილი თავთავის კონა
22. ერთეულოვანი ვექტორი
23. მზის სისტემის პლანეტა
24. ტექნიკური ზეთი
25. ცხელი აფრიკული ქარი ხმელთაშუა ზღვაზე
26. ბგერის გრაფიკული ნიშანი
27. დიდი მუწუკი
28. ძვლოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
29. ინდიელთა შხამი
30. სწავლის „გემო“ კენწეროში
31. დღეის მომდევნო დღეს ანუ ...
32. მდოგვის გაზის „შოპლიური“ ქალაქი
33. რაიმე საბუთის მეორე პირი
34. საგნის მონახაზი, კონტური
35. კოლხეთის ანტიკური სახელწოდ.
36. შეძახილი კავკასიური ცეკვებში
37. ქალაქი რუსეთში
38. მიშელ ობამას წინამორბედის სახელი
39. იხ. სურათი
40. ტიბეტური ხარი
41. ფილიპინების დედაქალაქი
42. დოლჩეს მეწყვილე
43. მეომარი ქალღმერთი სკანდინ. მითოლოგ.
44. ყინული - ინგლისურად
45. გამჭვირვალე წებოვანი ლენტი
46. წილი საერთო საქმეში
47. მწარე ფორთოხალი
48. იგივეა, რაც ლოყა
49. ბოთლში მცხოვრები ზღაპრული არსება
50. კორეული ავტომარკა
51. გამოუწვავი აგური
52. გერმანული ელექტროტექნიკური ფირმა
53. კუზიანი კურდღელი
54. წვრილად დაჭრილი ბოსტნეულის კერძი
55. რუსული როკჯგუფი
56. მზის ჩასვლა
57. დროის მონაკვეთი კრივში
58. გულის მოქმედების ფაზა
59. შავი ზღვის ზვიგენი
60. ... ხუნჭუა „რეკორდში“
61. ერთ-ერთი პოზა იოგაში
62. საბალო ცეკვა
63. „დინამოს“ კაპიტანი
64. რუსული შოუბიზნესის ვარსკვლავი
65. ძვ. ფრანგული ოქროს ფული
66. მსახიობი ... თურმანი
67. ფალიაშვილის ოპერა
68. სახალხო მგოსანი შუა აზიაში
69. ბანქოს ერთგვარი თამაში
70. „დეკამერონის“ ავტორი
71. მუს. ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი
72. ანტიკური საბერძნეთი
73. მსახიობი ... ჰოფმანი
74. დიდი ქუსლიანი ჯამი
75. „იქ“ -ძველ ქართულში
76. სოფელი ონის რაიონში
77. ბამბის წმინდა ქსოვილი
78. მითოლოგიური კვანძის „ავტორი“
79. ქალაქი კუნძულ კრეტაზე
80. ცეცხლსასროლი იარაღის მილი
81. პოეტი ... კაზაკოვა
82. სპორტული ცურვის ხერხი
83. მცირეალკოჰოლიანი სასმელი
84. პოეტ შევჩენკოს სახელი
85. ტყვიაგაუმტარი ქსოვილი
86. ვირტუოზი მევიოლინე ვანესა ...
87. სწორი ხაზი მათემატიკაში
88. სასროლეთი
89. მთელი ეკიპაჟის მუშაობა გემზე
90. წიწვოვანი ხე
91. სკანდინაველთა უზენაესი ღმერთი
92. ტროპიკული მარადმწვანე ბუჩქი
93. სადღესასწაულო ნამცხვარი
94. რუსეთის დედაქალაქი
95. წყალქვეშა კლდე
96. ტიბეტელი ბუდისტების მოძღვარი
97. მსახიობი ... მაკდაუელი
98. სახელისა და გვარების პირველი ასოები
99. მსახიობი --- ემე
100. მილა იოვოვიჩის ცნობილი კინოროლი
101. საფქვილე ყუთი წისქვილში
102. სამაგიდო თამაში
103. ინდონეზიური ჯუჯა კამეჩი
104. მშობიარეთა დამხმარე ბებიაქალი
105. მდინარის დატოტვილი შესართავი
106. რუს. მრგვალი სადღესასწაულო პური
107. ჰორიზონტალური ფიცარი ფანჯრის ქვეშ
108. რიჰარდ ვაგნერის ოპერა
109. ვულკანი იტალიაში
110. იალქნის ძელი
111. ბედუინთა მოსასხამი
112. ეკლიანი ბალახი
113. ქართული ტელეარხი
114. დიდი გამოსხივების მქონე კოსმოსური სხეული
115. ციტრუსის გახეხილი კანი
116. კუკარაჩას ცოლის სახელი
117. კერძო საავადმყოფო ძვ. საბერძნ.
118. ბაშიბუზუკის ქუდი
119. ბერძ. ანბანის პირველი ასო
120. ლეგენდარული ინდოელი კინომსახიობი ქალი
121. ძვირფასი ტახტი, სავარძელი
122. გრძელი უტაროს მათრახი
123. ქიმიური ელემენტი, მეტალი
124. კომპიუტერული ინფორმაციის ერთეული
125. ჰოლივუდის კინორეჟისორი
126. შანტაჟით და ძალადობით განხორციელებული გამოძალვა
127. ბრონირებული საბრძოლო მანქანა
128. წამლის ბურთულა
129. ფარული დაცინვა
130. ზღვის პატარა ყურე
131. ახალი წელი გურიაში
132. თხლად დაჭრილი და შებრაწული კარტოფილი
133. ფრანგული ყველის სახეობა
134. ხმელთაშუა ზღვის ყურე
135. იგივეა, რაც გაზი
136. ნიკო ფიროსმანის შინაურული სახელი
137. აჭარულ-ლაზური კერძი
138. დაბალი ფასის მქონე
139. ცალყურა ჭურჭელი სითხისათვის
140. ზრდადაუსრულებელი ქათამი
141. ანტილოპას სახეობა
142. მსუბუქი სპორტული ნავი
143. საქონლის საკვები ბალახი
144. მსახიობი კიანუ ...
145. ინგლისური ხურდა ფული
146. მექს. ტრადიც. ალკოჰოლური სასმელი
147. ოიდიპოსის დედა და ცოლი
148. ორელექტროდიანი ელექტრომილაკი
149. აბჯრის ერთ-ერთი სახე
150. პანდას საყვარელი მცენარე
151. ქალის ერთგვარი ზედატანი, ბლუზა
152. ძველი ასურეთის დედაქალაქი
153. ბეთჰოვენის მშობლიური ქალაქი
154. ქალაქი ჩილეში
155. უბედურების საერთაშ. სიგნალი
156. ვაზების მწკრივი ვენახში
157. ბერძნული ანბანის ასო
158. „ბუბლიკი“ ქართულად
159. მხედრის თანმხლები მასხრის ლაქია
160. ძვ. ებრაელი წინასწარმეტყველი
161. ესპანეთის საკურორტო კუნძული
162. მონღოლი ყაენი, ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილი
163. მაწვნის მსგავსი პრო-დუქტი თურქეთსა და შუააზიაში

პასუხები: 1. აკვარელი; 2. კოლინა; 3. აქცენტი; 4. ერნესტო; 5. ჟანდარმი; 6. ალპინისტი; 7. დოგი; 8. რძალი; 9. გლიცინია; 10. აისბერგი; 11. აორტა; 12. დაფა; 13. ეპიგრამა; 14. ატაკამა; 15. ფოლიანტი; 16. გავიალი; 17. კონკლავი;; 18. ფიგუ; 19. ანანასი; 20. ტოტია; 21. ძნა; 22. ორტი; 23. ურანი; 24. ოლიფა; 25. სიროკო; 26. ძნა; 27. ზმო; 28. რქა; 29. კურარე; 30. ტკბილი; 31. ხვალ; 32. იპრი; 33. ასლი; 34. აზრისი; 35. აია; 36. ასა; 37. რიაზანი; 38. ლორა; 39. სააღდგომო კვერცხები; 40. იაკი; 41. მანილა; 42. გაბანა; 43. ვალკირია; 44. აის; 45. სკოჩი; 46. პაი; 47. ბიგარადია; 48. ლაწვი; 49. ჯინი; 50. „კია“; 51. ალიზი; 52. „სიმენსი“; 53. აგუტი; 54. რაგუ; 55. „დდტ“; 56. დაისი; 57. რაუნდი; 58. დიასტოლა; 59. კატრანი; 60. დურუ; 61. ასანა; 62. კადრილი; 63. ლორია; 64. კირკოროვი; 65. ეკიუ; 66. უმა; 67. „ლატავრა“; 68. აკინი; 69. ბრიჯი; 70. ბოკაჩო; 71. კოდა; 72. ელადა; 73. დასტინ; 74. ბადია; 75. მუნ; 76. ირი; 77. ნანსუკი; 78. გორდია; 79. ირაკლიონი; 80. ლულა; 81. რიმა; 82. ბრასი; 83. ლუდი; 84. ტარასი; 85. აკრონი; 86. მეი; 87. წრფე; 88. ტირი; 89. ავრალი; 90. ნაძვი; 91. ოდინი; 92. მანიოკა; 93. ტორტი; 94. მოსკოვი; 95. რიფი; 96. ლამა; 97. ენდი; 98. ინიციალები; 99. ანუკ; 100. ლილუ; 101. ალა; 102. ნარდი; 103. ანოა; 104. მეანი; 105. დელტა; 106. კარავაი; 107. რაფა; 108. „ზიგფრიდი“; 109. ვეზუვი; 110. ანძა; 111. აბა; 112. ნარი; 113. „იმედი“; 114. კვაზარი; 115. ცედრა; 116. ინგა; 117. იატრეია; 118. ფაფანაკი; 119. ალფა; 120. ნარგიზი; 121. სელი; 122. ლახტი; 123. რკინა; 124. ბაიტი; 125. კუბრიკი; 126. რეკეტი; 127. ტანკი; 128. აბი; 129. ირონია; 130. უბე; 131. კალანდა; 132. ჩიფსი; 133. ბრი; 134. ბისკაი; 135. აირი; 136. ნიკალა; 137. ჩირბული; 138. იაფი; 139. დოქი; 140. ვარია; 141. გნუ; 142. ბაიდარა; 143. იონჯა; 144. რივზი; 145. პენი; 146. პულკე; 147. იოკასტე; 148. დიოდი; 149. თორი; 150. ბამბუკი; 151. კოფთა; 152. ნინევია; 153. ბონი; 154. იკიკე; 155. სოს; 156. ეტი; 157. ქსი; 158. ბლითი; 159. გრუმი; 160. ესაია; 161. იბიცა; 162. ბათო; 163. აირანი; გამუქებულ უჯრებში იკითხება: სააღდგომო კვერცხები.



## ბათუმში „ჯიფონის“ ბავშვთა კინოფესტივალის შესარჩევი კონკურსი ტარდება

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით „ჯიფონის“ კინოფესტივალში მონაწილე ბავშვების შესარჩევ კონკურსს ატარებს, რომელიც ორ ეტაპად გაიმართება.

კინოფესტივალის ორგანიზატორების ცნობით, კონკურსის ფარგლებში, ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულმა 21-მა საჯარო და კერძო სკოლამ სულ 40 ბავშვის განაცხადი წარმოადგინა; მეორე ტურში 35 ბავშვი გადავიდა.

კონკურსის საფუძველზე სამი მონაწილე შეირჩევა ბათუმიდან, რომელთაგან საქართველოს ეროვნულ კინოცენტრში გამართულ დასკვნით ეტაპზე ერთი გამარჯვებული მოსწავლე გამოვლინდება.

საერთაშორისო საბავშვო კინოფესტივალ „ჯიფონში“ 3000-ზე მეტი ბავშვი მონაწილეობს. ისინი სხვადასხვა ნომინაციებში უყურებენ ფილმებს, იმსჯელებენ, განიხილავენ და გამოავლენენ გამარჯვებულებს.

2014 წელს „ჯიფონის“ 44-ე კინოფესტივალზე საქართველოდან სულ შვიდი ბავშვი გაემგზავრება, რომლებსაც მასპინძლობას ადგილობრივი თანატოლების ოჯახები გაუწევენ. ბათუმელი კონკურსანტის იტალიაში გამგზავრებისა და სამოგზაურო დაზღვევის ხარჯებს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს. (ინტერპრესნიუსი)

## საქართველოში მკითხავთა „მაფია“ მოქმედებს?



კლინიკაში სამკურნალოდ ჰოსპიტალიზებულ ქალბატონს, ნათესავის სანახავად მისულმა ქალბატონმა, რომელიც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას ყოველდღიურად დიდი თანაგრძნობით კითხულობდა, უთხრა, რომ ადრე მისი ახლობელიც იგივე დაავადებით (ფსიქიკური პრობლემები) იტანჯებოდა, მაგრამ ექიმებმა ვერაფერი უშველეს და მხოლოდ ერთი მკითხავის ძალისხმევით გადარჩა. მკითხავს ერთი ჩვევა ჰქონია – სახლში არავის იღებდა, კლიენტთან სამკითხაოდ თავად მიდიოდა. ქალბატონი დასთანხმდა. მკითხავთან მისი ოჯახის წევრი მივიდა და პირველი შოკი მაშინ მიიღო, როდესაც „ჯადობაზმა“ ავადმყოფის სურათს დახედა და დაავადების შესახებ ყველაფერი მოუყვა (რომელიც მანამდე საავადმყოფოში გაცნობილი „კეთილისმსურველისგან“ უკვე გაეგო). ამან მკითხავს კლიენტის თვალში მეტი დამაჯერებლობა შესძინა. „მკურნალობის“ დაწყების შედეგად, პაციენტის ბიუჯეტი ჯერ რამდენიმე ათასი დოლარით შემცირდა, ხოლო შემდეგ ისევ ექიმებმა უმკურნალეს. ეს ყველაფერი ისევ ასე დარჩებოდა, რომ არა „მკითხავის“ დაუდევრობა. მან და მისმა მეგობარმა იგივე სცენარი სხვასაც შესთავაზეს, ოღონდ სხვა საავადმყოფოში.

„მკითხავს დავურეკე და ვთხოვე, რომ ჩემი ოჯახის წევრს „დამატებითი მკურნალობა“ სჭირდებოდა. მოვიდა. პირდაპირ ვუთხარი, რომ ყველაფერი ვიცოდი მისი თაღლითობის შესახებ. არ უარყვია. რა ვქნა, ამით ვშოულობ ფულსო. არ დაგიმალავთ, იმის შიშით, რომ პოლიცია არ ჩამერთო საქმეში, ფულის დიდი ნაწილი დამიბრუნა. მისგან გავიგე, რომ ამ სქემით მარტო ერთი კი არა, რამდენიმე მკითხავი მოქმედებს. მაფია?! საკმაოდ, ბევრია სასოწარკვეთილი ხალხი და შესაძლოა, თაღლითები მას ფულს დღემდე სძალავენ“, – განაცხადა ავადმყოფის ნათესავმა.

მკითხავების მოხერხებულობაზე არაერთი ფაქტი მეტყველებს. ხაშურის რაიონში მცხოვრები მკითხავი, ჯერ არდაბადებული ბავშვის სქესს „წინასწარმეტყველებდა“. სანამ პასუხს ეტყოდა მშობელს, ჯერ იმას ეკითხებოდა, ვინ უფრო უნდოდა, ბიჭი თუ გოგო. როდესაც პასუხს გაიგებდა, ჩაატარებდა შამანურ რიტუალს და სწორედ იმ სასურველ სქესს ეუბნებოდა. თუ მართლაც „გაარტყამდა“ 9 თვის თავზე „მაღარიჩს“ კისრულობდნენ, მაგრამ თუ შეცდებოდა, მიუვარდებოდნენ ხოლმე საჩხუბრად. მკითხავი დიდ დავთარს გამოუტანდა და აჩვენებდა, რომ იმ დავთარში ამ წყვილის გასწვრივ ბავშვის შესაბამისი სქესი ჰქონდა მითითებული და დასძენდა – თქვენ გენაცვალეთ, ბიჭი/გოგო გინდოდათ და სიმართლე რომ მეთქვა, ხომ აბორტს გაიკეთებდით?! ჰოდა, გენაცვალე, მე მაგ ცოდვაში ფეხს ვერ ჩავდგამდიო. (სკანდალ.ჯი)

## კატა – ეშმაკი ცხოველი თუ სიკეთისა და სიმშვიდის სიმბოლო?



ბუნების ერთ-ერთი უმშვენიერესი ქმნილების, კატის შესახებ მრავალი მითი თუ თქმულება არსებობს, მაგრამ არსად ის ისე დაფასებული არ ყოფილა, როგორც ეგვიპტეში, სადაც მისი კულტი არსებობდა. სწორედ ეგვიპტელებმა შერაცხეს ის სიკეთის, ოჯახური სიმშვიდის, სიხარულის, დედობრივი მზრუნველობისა და დამცველი ძალის სიმბოლოდ. კატა უპირველეს ყოვლისა, განასახიერებდა ქალღმერთ ბასტეტს, რომელსაც ქალის ტანითა და კატის სახით გამოსახავდნენ. ძველი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე იუწყება, რომ ქალაქ ბუბასტიტში ეგვიპტის ყველაზე ლამაზი სამლოცველო აშენდა, რომელიც ბასტეტის სამყოფელი იყო. მთავარ სიწმინდედ კი ღვთაების გიგანტური ქანდაკება ითვლებოდა. დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე 950 წელს, ფარაონმა შეშონკ პირველმა, ეს ქალაქი დედაქალაქად აქცია და ქალღმერთის კულტი მთელ ქვეყანაში გავრცელდა. თითქმის ყველა ეგვიპტელს ჰყავდა სახლში კატა – მას ისე უვლიდნენ, როგორც ყველაზე ძვირფას არსებას. თუ ხანძარი ჩნდებოდა, კატა ბავშვებზე ადრეც კი გამოჰყავდათ ცეცხლმოკიდებული სახლიდან. როდესაც კატა კვდებოდა, მთელი ოჯახი სამგლოვიაროდ იმოსებოდა, ხოლო მწუხარების ნიშნად წარბებს იპარსავდნენ. მკვდარ ცხოველს სურნელოვან ზეთებს უსვამდნენ და აბალზამებდნენ. პატრონის რწმენით, მხოლოდ ასე შეძლებდა მათი გარდაცვლილი კატის სული სხეულში დაბრუნებას. კატის მუმიას ჭრელ სახვევში ახვევდნენ, შემდეგ სპეციალურ სასაფლაოზე მარხავდნენ. იმისთვის, რომ კატას საიქიოში თავი კარგად ეგრძნო, საფლავში სათამაშოებთან ერთად ზოგჯერ თაგვის მუმიებსაც აყოლებდნენ. კატები განსაკუთრებული დაცვის ქვეშ იმყოფებოდნენ, ადამიანი, რომელიც შემთხვევით, ან მით უმეტეს, განზრახ კლავდა კატას, სიკვდილით ისჯებოდა.

ეგვიპტელები კატების პატივსაცემად ქანდაკებებსაც კი ქმნიდნენ ოქროს, ბრინჯაოსა და მარმარილოსგან, რომლებიც დღეს უნიკალურ ქმნილებებად მიიჩნევა და მსოფლიოს მრავალ მუზეუმში ინახება. ხელოვნებათმცოდნეები მიიჩნევენ, რომ ეს ქანდაკებები გამოხატავენ იმ ეპოქის სულს, კულტურასა და ცხოვრების წესს. (რეპორტიორი)



## მობილური ტელეფონით სარგებლობისას გასათვალისწინებელი 7 „ოქროს წესი“

მსოფლიოში 1,35 მილიარდი ერთეული მობილური ტელეფონია. 20-ზე მეტ ქვეყანაში ჩვეულებრივ ტელეფონზე მეტად მას იყენებენ. ის „ტექნიკის სასწაული“ და „საზოგადოებრივი მოვლენაა“. ცოტამ თუ იცის, რა ზიანის მოტანა შეუძლია მას ადამიანისთვის.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მობილური ტელეფონის ელექტრომაგნიტური ზეგავლენა შეისწავლა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა მობილური ტელეფონის ელექტომაგნიტური ენერგიის მავნე გავლენისა და დასაშვები ნორმების შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება. იმისთვის, რომ დაცულები ვიყოთ საკუთარი მობილური ტელეფონისგან, საჭიროა ვიცოდეთ, რას ნიშნავს **SAR**, ანუ **eSfk** (ენერგიის შთანთქმის კოეფიციენტი) და როგორია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილი **SAR**-ის ნორმა. სპეციალისტები რამდენიმე რჩევის გათვალისწინებას გვირჩევენ:

1. საჭიროა, შეარჩიოთ ნაკლები გამოსხივების დონის მქონე ტელეფონი, ამისთვის უნდა დაინტერესდეთ რამდენია **SAR**-ი, ეს შეგიძლიათ გააკეთოთ წინასწარ ინტერნეტის საშუალებით. აირჩიეთ მოდელი **SAR**-ის მცირე მნიშვნელობით.

2. რკინა-ბეტონის კონსტრუქციის შენობებში (გარდა მსხვილი სავაჭრო ცენტრების, სადგურებისა და სხვა ასეთი ტიპის შენობებისა, სადაც მობილური ტელეფონების ოპერატორებს შეიძლება განთავსებული ჰქონდეთ ლოკალური საბაზო სადგურები) შესაძლებლობისდაგვარად უნდა მიხვიდეთ ფანჯარასთან, ან კიბეებს შორის. ცუდი მიღების შემთხვევაში მობილური ტელეფონით ზარის განხორციელების დროს ელექტრომაგნიტური გამოსხივება მკვეთრად იზრდება. თუ იმყოფებით ცუდი მიღების ზონაში (ტელეფონის დისპლეიზე ჩანს მიღების დონის შკალის ნახევარი), საუბრის ხანგრძლიობა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოთ, ან, შეძლებისდაგვარად, ხმოვანი შეტყობინებიდან გადახვიდეთ **SMS** შეტყობინებაზე.

3. გასათვალისწინებელია ისიც, როგორ უნდა გეჭიროთ ტელეფონი, საუბრისას მობილური ისე უნდა დაიჭიროთ, რომ ანტენა არ დაფაროთ. ხელით არ უნდა დაიფაროს კორპუსის მესამედზე მეტი.

4. ხანგრძლივი საუბრისას რეკომენდებულია მოიხსნათ მეტალის ჩარჩოიანი სათვალე, ვინაიდან ასეთმა ჩარჩომ შეიძლება შეასრულოს მეორადი გამოსხივების როლი და გამოიწვიოს გამოსხივების სიმძლავრის გავლენის გაზრდა. სასურველია, არ ვისაუბროთ მობილური ტელეფონით 4-5 წუთზე მეტი.

5. მობილური ტელეფონი სატარებლად ყველაზე უსაფრთხოა, თუ მას მუხლის ზემოთ, ბარძაყის გარე მხარეზე მოვათავსებთ.

6. არ არის მიზანშეწონილი ლაპარაკი მანქანის სალონიდან, ვინაიდან მანქანიდან საუბრისას მანქანის კორპუსი მნიშვნელოვნად ამცირებს საბაზო სადგურიდან მოსულ ელექტრომაგნიტურ სიმძლავრეს, რაც ზრდის მობილური ტელეფონის მიერ გამოსხივების სიმძლავრეს.

7. გასათვალისწინებელია ასევე ბავშვების ურთიერთობა მობილურ ტელეფონებთან. ყურადღება უნდა მიექცეს 8 წლამდე ბავშვების მიერ მობილური ტელეფონით სარგებლობას და მაქსიმალურად უნდა შევზღუდოთ საუბრის ხანგძლივობა. (რეპორტიორი)

## რა მისწერა „ფეისბუკზე“ ვახტანგ რჩეულიშვილმა ნინა წკრიალაშვილს?



ვახტანგ რჩეულიშვილმა, რომელიც სატელევიზიო შოუ „ორი ვარსკვლავის“ მსვლელობის მანძილზე, მის პარტნიორთან, ნინა წკრიალაშვილთან ერთად აუტსაიდერთა რიგებში არც ერთხელ არ მოხვედრილა, პროექტი დატოვა.

ყოფილმა პარლამენტარმა ნინა წკრიალაშვილს „ფეისბუკის“ კედელზე სენტიმენტალური წერილი დაუტოვა, რომელიც შოუში მონაწილეობისას მიღებულ შთაბეჭდილებებზე აღტაცებით საუბრობს და მას საქორწინო მოგზაურობის ემოციებსაც შეადარა. ამავე წერილში რჩეულიშვილმა არც მათ მიმართ დაიშურა სიტყვები, ვინც მისით არ არის მოხიბლული და „ბოღმით აკრიტიკებს“.

„პროექტიდან გავედი. ჩემი გადაწყვეტილებაა. თუმცა მიჭირდა მისი მიღება. ჩემთვის საქორწილო მოგზაურობის შემდეგ ყველაზე დიდი ზეიმი იყო ცხოვრებაში ეს შოუ. ყველას დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის. განსაკუთრებით ნინას. ხოლო ყველას, ვინც ამ შემთხვევაშიც ბოღმით მაკრიტიკებს, თუმცა გაირკვა, რომ მშენებლობის ფული და ჩემი ქონებაც კომპანია „დექსუსმა“ მიითვისა, გავკარი. მათხოვრი მათხოვრად დარჩება – ეს სულის მდგომარეობაა და არა უბრალოდ სახსრებისა და ქონების დაკარგვა. ეს ცხოვრება შოუა და შოუს გაუმარჯოს: ახალგაზრდებს ხომ მაინც გაუკეთე კარგი საჩუქარი! უფალმა მისცეთ და საქართველოს ახალგაზრდობას გაუმარჯოს! ჩვენს ხელში არ დაიკარგებით და მერე თავს თავად მიხედეთ!“, – წერს ვახტანგ რჩეულიშვილი. (ამბები.ჯი)



## ნამდვილი ფერიები არსებობენ

მანჩესტერის უნივერსიტეტის პროფესორი ჟოჰნ **Hyatt** ამტკიცებს, რომ მან გადაიღო ნამდვილი ფერიები, როდესაც **Lancashire**-ის პეიზაჟს იღებდა. **Lancashire**-ი მდებარეობს ინგლისში.

ფერიების სურათები არის ნამდვილი და არ არის დამუშავებული, განაცხადა პროფესორმა **John Hyatt**-მა. ფერიების სურათების დათვალიერებას საზოგადოება სპეციალურ გამოფენაზე შეძლებს. (ნიუპოსტი)

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


**ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი — სასწავლო უნივერსიტეტი კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად**

**2014 წლის 17 აპრილს ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი — სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.**

| მიმართულება | ვაკანსიების რაოდენობა | | |
|---|---|---|---|
| | პროფესორი | ასოცირებული პროფესორი | ასისტენტ პროფესორი |
| **სოციალური მეცნიერებები** | | | |
| პოლიტიკური მეცნიერებანი | - | 1 | - |
| საერთაშორისო ურთიერთობები | - | 1 | - |
| **ბიზნესი და ადმინისტრირება** | | | |
| მარკეტინგი | - | 1 | 1 |
| მენეჯმენტი | - | 1 | 1 |
| **სამართალი** | | | |
| საერთაშორისო სამართალი /სასწავლო კურსი: ადამიანის უფლებათა სამართალი/ | - | - | 1 |

**კონკურსში მონაწილეობის პირობები:**

დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი. ხარისხის არქონის შემთხვევაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია.

**სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება:**

- არანაკლებ 3 წლისა ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

ინგლისური ენის სრულყოფილ დონეზე ფლობა.

**კონკურსში მონაწილეობის მიღებისთვის წარმოსადგენი დოკუმენტები:**

1. დადგენილი ფორმის განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე
2. სილაბუსები (დისციპლინათა ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ან/და მიიღოთ ადგილზე);
3. აკადემიური ან სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების დამოწმებული ასლები (არსებობის შემთხვევაში);
4. სამეცნიერო/პედაგოგიური მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლები;
5. ავტობიოგრაფია **( CV)**;
6. 2 ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3X4)

საკონკურსო განაცხადის ფორმის მიღება შესაძლებელია უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიის სამდივნოში (მის.: თ. ერისთავის №2, ქ. თბილისი; საკონტაქტო პირი: ნატო ჭანტურია, ე-მაილ: **nato@auhtc.edu**) ან უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე **www.auhtc.edu**

საკონკურსო განაცხადისა და დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი – სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, თ. ერისთავის N№2), 2014 წლის 17 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით (კვირა დღის გარდა).

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად: მიღებული დოკუმენტების გადარჩევა, საჩვენებელი ლექციის ჩატარება და გასაუბრება, რომელიც განხორციელდება 30 ივნისის შემდეგ. შემდგომ ეტაპზე დაბარებულნი იქნებიან მხოლოდ ის კანდიდატები, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაციაც სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი და შესაბამისობაში იქნება ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი – სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დასახულ პრიორიტეტებთან, აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი **(www.auhtc.edu)** ან მობრძანდეთ ადგილზე.

**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**

## ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04

**17 აპრილი:** ვინც გიყვართ, შეიძლება დღეს აუტანლები გახდნენ. ალბათ, მათი საქციელის მსგავსს არავის არაფერს აპატიებდით, მაგრამ ამ შემთხვევაში გაბრაზებასაც ვერ მოახერხებთ.

### კურო 22.04-21.05

**17 აპრილი:** დღეს ვინმეს საქმეში ჩარევას ნუ შეეცდებით. თქვენს სურვილს, რომ უანგაროდ დაეხმაროთ, არ დაგიფასებენ.

### ტყუპები 22.05-21.06

**17 აპრილი:** თქვენი გონება კარგად იმუშავებს, მაგრამ არასწორი მიმართულებით. ამის ახსნაზე დროს ნუ დახარჯავთ, ვერაფერს გაარკვევთ.

### კირჩხიბი 22.06-22.07

**17 აპრილი:** ბევრი საიდუმლო შეიძლება დღეს გაცხადდეს. იმედი ვიქონიოთ, ეს თქვენს სასარგებლოდ იმუშავებს.

### ლომი 23.07-22.08

**17 აპრილი:** დღეს მოვლენებზე რაიმე სახის გავლენის მოხდენის საშუალება არ გექნებათ. არც შეეცადოთ, დროს ტყუილად დახარჯავთ.

### ქალწული 23.08-22.09

**17 აპრილი:** ძალიან ცნობისმოყვარე იქნებით. ეცადეთ, თავშეკავებული იყოთ. რაიმე სახის ინფორმაციების მოძიება-გავრცელებით ურთიერთობებს გაიფუჭებთ.

### სასწორი 23.09-22.10

**17 აპრილი:** ყველაფრის გაზვიადებისკენ იქნებით მიდრეკილი. კარგად დაფიქრდით, ყველაფერი არც ისე ცუდადაა, თქვენ რომ გგონიათ.

### მორიელი 23.10-21.11

**17 აპრილი:** დღეს თქვენი ნებისმიერი ქმედება ისე აღიქმება, როგორც კარგად გააზრებული გეგმის ნაწილი. შეიძლება ინტრიგანობაში დაგადანაშაულონ.

### მშვილდოსანი 22.11-21.12

**17 აპრილი:** შეიძლება მთელი დღის მანძილზე გრძნობები გაფანტული გქონდეთ და სულ უბრალო საკითხების გადაწყვეტაც კი შეიძლება გაგიჭირდეთ. არ ინერვიულოთ, ახლობლების საღ აზრს დაეყრდენით.

### თხის რქა 22.12-19.01

**17 აპრილი:** რაც არ უნდა ხდებოდეს თქვენს გულში, ეს სახეზე არავითარ შემთხვევაში არ აისახოთ. საჭირო არ არის, ვინმემ თქვენი პირადი ცხოვრების შესახებ რამე იცოდეს.

### მერწყული 20.01-18.02

**17 აპრილი:** დაუმთავრებელ საქმეებს რა გამოლევს, მაგრამ დღეს რამე ახალი საქმე უნდა წამოიწყოთ. შეიძლება ამან თქვენი ახლობლები გაანაწყენოს, მაგრამ მაინც...

### თევზები 19.02-20.03

**17 აპრილი:** რაღაცა ახლისა და საინტერესოს კეთების სურვილი უნდა დაიკმაყოფილოთ, თანაც, რაც უფრო მალე, მით უკეთესი. შეიძლება უჩვეულო თავგადასავლები გადაგხდეთ.


გაზეთი ალია

**სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს**

ტელ: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი 15 სთ-დან





## ლუკა კურტანიძე დაქორწინდა

ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ლუკა კურტანიძე და ამავე ფედერაციის პრესსპიკერი, ასევე, კომპანია „ზედაზენის“ პიარმენეჯერი ხათუნა მიქაცაძე დაქორწინდნენ.

„ლუკამ ხელი მოულოდნელად, კომპანიის კორპორაციულ საღამოზე მთხოვა, ასევე მოულოდნელი იყო ნიშნობაც. საერთოდ, ლუკა სიურპრიზების მოყვარულია“, – განაცხადა ხათუნა მიქაცაძემ.

ბოლო რამდენიმე წელია, ლუკა კურტანიძე ყოფილ ცოლთან აღარ ცხოვრობს. ხათუნა მიქაცაძეს პირველი ქორწინებიდან ქალ-ვაჟი ჰყავს.

წყვილი გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო თაფლობის თვეს საქართველოში ატარებს. (ამბები.ჯი)

## სწორად შევსებული CV — პირველი ნაბიჯი წარმატებისკენ




უმუშევრობის პრობლემასთან ერთად, ბევრისთვის, კურიკულუმ ვიტას, რეზიუმეს, ანუ **CV**-ს შევსებაც პრობლემაა, რადგან მისი სწორად შევსების შემთხვევაში სამსახურის ძებნის პირველი ეტაპი თითქმის გადალახულია. ორთოგრაფიული შეცდომები და გაუმართავი ტექსტი – პირველი ნიშანია, რომ დამსაქმებელს თქვენთან გასაუბრების სურვილი გაუქრება. დადგენილია, რომ ერთი **CV**-ს გადაკითხვას, 1 წუთს უთმობენ. ამიტომ მაქსიმალურად შეეცადეთ, გარკვევით ჩანდეს მასში ყველა საინტერესო ინფორმაცია. ამავე დროს, თქვენმა ავტობიოგრაფიამ უნდა მოახერხოს, დამსაქმებელს ნახვისა და საუბრის სურვილი გაუჩინოს. არსებობს შეცდომები, რომელსაც განსაკუთრებით ვერ ეგუებიან კადრების შერჩევის სპეციალისტები. არის შეცდომები, რომლებიც თავიდან უნდა აირიდოთ, რათა **CV** ნაგვის ყუთში არ აღმოჩნდეს.

1. ერთი ორთოგრაფიული შეცდომა სამსახურში აყვანის შანსს 12%-ით გიკარგავთ. ამიტომ, დოკუმენტი, ვიდრე გაგზავნიდეთ, წააკითხეთ ახლობელს. იქნებ მან აღმოაჩინოს ისეთი შეცდომა, რომელიც თქვენს თვალს გამოეპარა.

2. საკონტაქტო ინფორმაცია დაწერეთ სრულად და გარკვევით. მიუთითეთ ასაკი და არა დაბადების თარიღი, რადგან თქვენი ასაკის გამოთვლისათვის შეიძლება თავი არ შეიწუხონ.

ელექტრონულ ფოსტაში ნუ გამოიყენებთ ისეთ არასერიოზულ სახელებს, როგორიცაა მაგალითად: **shumaxera@posta.ge**, **loqo@mail.ru** და ასე შემდეგ.

3. ზედმეტი ინფორმაცია დამსაქმებელს აღიზიანებს. **CV** ერთ გვერდზე უნდა ეტეოდეს. არ არის საჭირო მთელი ცხოვრების დეტალური მიმოხილვა. თუ ძალიან დიდი სამუშაო გამოცდილება გაქვთ და 1 გვერდი არ გყოფნით, არ ჩაწეროთ ისეთი სამსახურები, სადაც 1 წელზე ნაკლები დაჰყავით. წერისას, ბოლო 10 წლის მონაცემები გაიაზრეთ და გარკვევით დაწერეთ. გარდა სამუშაო ადგილის მითითებისა, მიუთითეთ, რა თანამდებობა გეკავათ და კერძოდ რა გევალებოდათ. ზღვა სამუშაო გამოცდილების ჩამოთვლა მომგებიანი სულაც არ არის. თუ თქვენ დიდი გამოცდილება გაქვთ, ბევრ სამსახურში გიმუშავიათ და მაინც სამსახურს ეძებთ, ეს ნიშნავს, რომ ცუდი კადრი ხართ.

ყურადღება მიაქციეთ პუნქტს სხვადასხვა. თუ თქვენ ბლოგერი ბრძანდებით ან მოყვარული ფოტოგრაფი, ეს აუცილებლად დააინტერესებთ კადრების განყოფილებაში და თქვენზე შთაბეჭდილების შექმნაშიც დაეხმარებათ.

4. დაივიწყეთ ფერადი ასოები, ჩუქურთმიანი ფურცლები ან სხვა სახის გაფორმებები. იგი უნდა იყოს მარტივი, სადა და ერთი შეხედვითაც ჩანდეს, რა წერია მასზე და ნახატებში არ უნდა სჭირდებოდეთ თარილების ძებნა.

5. თუ ფოტოს დაურთავთ, ის აუცილებლად ხარისხიანი უნდა იყოს. ბუნდოვანი ფოტო, თქვენ მიმართ განწყობას გააფუჭებს. დაურთეთ კორექტული ფოტო. პლაჟზე ან ბუჩქთან გადაღებული ფოტოს მიბმა უხერხულია.

6. ყველა ვაკანსიისთვის შეადგინეთ განსხვავებული სამოტივაციო წერილი. რომელიც კონკრეტულ მოთხოვნებს უპასუხებს. ერთი ტრაფარეტული წერილის მუდმივად გაგზავნა, უხერხულ სიტუაციაში ჩაგაგდებთ. (პერლა)


**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია ≫211359457 ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭავაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



**სარეკლამო სამსახური**

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე 221 21 80 (შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა–49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.44